# სარჯიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 22 ივლისი 2008 №167 (3391) ფასი 50 თეთრი


# 1 000 000

## რამდენი მილიონერი შეემატება საქართველოს აგვისტოში?



პრეზიდენტთან შეხვედრამდე დავით ქევხიშვილმა და სხვა ოლიმპიელებმა ფიცი დადეს

ბეჭედი ანიშვილის ფოტოები

ოლიმპიური კომიტეტის და საქართველოს პრეზიდენტები: გოგი თოფაძე და მიხეილ სააკაშვილი

აი, ამბავი: ქართველი ოლიმპიელი, ვინც პეკინში ოქროს მედალს მოიპოვებს, სახელმწიფოსგან მილიონ ლარს მიიღებს!

ეს სიახლე გუშინ ჩვენს ოლიმპიელებს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავად აცნობა ავლაბრის რეზიდენციაში შეხვედრისას და ისიც დაამატა, რომ მომავალში ქართული სპორტი სახელმწიფოსგან კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერას მიიღებს.

თქმა არ უნდა, ეს ამბავი დამატებითი და თან ძალიან მნიშვნელოვანი მოტივაცია იქნება ჩვენი სპორტსმენებისთვის და იქნებ გადამწყვეტი ფაქტორიც კი, ათენის ოლიმპიადაზე ნაჩვენები შედეგის გასაუმჯობესებლად...

## დღეს დინამო ოფიციალურად გამოაცხადებს: პანათინაიკოსი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერი ჩვენთვის შოკი იყო

## პაატა ბურჯალიანი: ასეთი საშინელი მდგომარეობა არასოდეს გვქონია



ბურჯალიანი დოლენჯაშვილის ფოტო

**აღარ არსებობს ქუთაისის „ტორპედო"... არავინ იცის, რა მოხდება ბათუმში, ზუგდიდში, გორსა თუ ბორჯომში... უმაღლეს ლიგაში თამაშზე უარი თქვა თბილისის „ამერმა"... ვინ ჩაენაცვლება „ამერს", ან ხომ არ არის საშიშროება, კიდევ რომელიმე გუნდი გამოაკლდეს ეროვნულ ჩემპიონატს? რა ფორმატით ჩატარდება, ან სულაც რა ეშველება ქართულ ფეხბურთს? აი, კითხვები, რომელიც ამჟამად ყველას თავში უტრიალებს.**
**ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურ მდივან პაატა ბურჯალიანს დავუკავშირდით...**

— **გადაწყვეტილია, რომ „ამერი" უმაღლეს ლიგაში აღარ ითამაშებს. პროფლიგას ხომ არ მიუღია რაიმე ახალი გადაწყვეტილება?**

— უმაღლეს ლიგაში 11 გუნდი დარჩება. ამ დროისთვის საქართველოს არ ჰყავს სხვა ისეთი კლუბი, რომელიც უმაღლესი ლიგის ლიცენზირების კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, ამიტომ ვერავის დავამატებთ. კალენდარი იგივე დარჩება — ის გუნდი, რომელიც „ამერს" ეთამაშებოდა, დაისვენებს. სადღეისოდ ასეთი სიტუაციაა, თუ არავინ გამოგვაკლდა კიდევ.

— **ამის საშიშროება არსებობს? ლაპარაკია იმაზეც, რომ შესაძლოა, უმაღლესში „მგლებმა" და „ბორჯომმა" ვერ ითამაშონ...**

— „ბორჯომთან" მიმართებაში ამ წუთამდე გაურკვევლობა იყო, თუმც უკვე მომიტანეს საბუთი, სადაც აღნიშნულია, რომ „ბორჯომმა" ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა ჩარიცხა. რაც შეეხება „მგლებს", მე ვესაუბრე მათ და გარკვევით მითხრეს, რომ ითამაშებენ.

— **რა მდგომარეობაა პირველ ლიგაში? „ტორპედოს" ბედი სხვებსაც ხომ არ ელით?**

— ვერ გეტყვით, რა მდგომარეობაა ბათუმში. შემიძლია, გითხრათ, რომ იქ სრული გაურკვევლობაა. უბრალოდ, ვერ ვნახე ისეთი ადამიანი, რომელსაც ამ თემაზე დაველაპარაკებოდი. პასუხისმგებელი პირიც კი არ არსებობს. იქნებ ეს სიტყვები მაინც წაიკითხონ და თავად დამიკავშირდნენ. ასეთივე დღეშია „მერანი", ეს რეგიონალლიგაში ითამაშებს — ეს ინფორმაცია კლუბის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა უკვე დაგვიდასტურა.

— **როგორც ამბობენ, არც გორშია სახარბიელო მდგომარეობა...**

— პრეზიდენტის რწმუნებულს ველაპარაკე და ხვალ 12 საათისთვის პასუხი უნდა მითხრან, ისევე, როგორც თბილისის „ორბების" ხელმძღვანელობამ. ხვალ თასის წილისყრაა და არც პირველი ლიგის კალენდარია შედგენილი, ამიტომ კონკრეტული პასუხები უნდა ვიცოდეთ.

— **ასეთმა მდგომარეობამ რადიკალური ნაბიჯების გადადგმისკენ ხომ არ გიბიძგათ?**

— წლეულს მართლაც საშინელი სიტუაციაა. ამდენი გუნდი ასეთი სერიოზული პრობლემებით არასდროს ყოფილა. არ იციან, ვინ არის დამფინანსებელი, თანხა არ აქვთ და ისე უნდათ თამაში... ყოველთვის ვიყავი უმაღლეს და პირველ ლიგაში გუნდების რაოდენობის შემცირების მომხრე.

— **ხომ არ არის ეს გეგმაში?**

— ჩემპიონატს ისეთი გუნდი გამოაკლდა, ჩვენთვის შოკი იყო. „ამერი" თავისი ინფრასტრუქტურით, მენეჯმენტით ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. თავი არც ევროპაში შეურცხვენია... დასანანია, რომ „ამერი" უმაღლესს დააკლდა. ამიტომ წინასწარ ვერავინ ვერ განსაზღვრავს, რა იქნება სამომავლოდ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

მალხაზ მაისურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტო

# მსაჯები ქობულეთში და მაისურაძის გარეშე

**საქართველოს** მე-20 ეროვნული ჩემპიონატისთვის და საქართველოს თასის გათამაშებისთვის მოსამზადებლად 50 მსაჯი ქობულეთში გაემგზავრა შეკრებაზე.

მზადება ფიფას, უეფასა და სფფ-ის მოთხოვნათა შესაბამისად ხდება.

თეორიულ მზადყოფნაში ტესტები 28 ივლისამდე გაგრძელდება, 29 ივლისს კი ქუთაისში ფიზიკურ მომზადებაში ჩატარდება გამოცდები.

ერთიც: ახალ სეზონში მსაჯთა კორპუსს ეროვნული კატეგორიის არბიტრი მალხაზ მაისურაძე გამოაკლდება — მისი გამოსათხოვარი მატჩი 24 ივლისს საქართველოსა და რუმინეთის 19-წლამდელთა ნაკრებების ამხანაგური შეხვედრა იქნება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, სამომავლოდ მაისურაძე ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს მსაჯთა დამკვირვებლის რანგში მოემსახურება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კვარაცხელია მეორეა

**გივი კვარაცხელიას** „მტზ-რიპომ" 3:1 მოუგო „გომელს" და 32 ქულით მეორე ადგილზეა ბელარუსის ჩემპიონატში.

„გომელთან" ქართველმა ნახევარმცველმა 90 წუთი ითამაშა და საკმაოდ აქტიურიც გახლდათ.

**კახა შალამბერიძე**

# ორი ქართველი და იურმალა

**რიგის** „სკონტომ" ლატვიის ჩემპიონატის მე-14 ტურში ქულა აართვა სტუმრად „იურმალას" — 1:1.

„სკონტოში" ორივე ქართველმა ითამაშა — მცველი დავით გამეზარდაშვილი სრულად გაისარჯა, თავდამსხმელი ლადო ნადირაშვილი კი 69-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

„სკონტო" 27 ქულით მეორე ადგილზეა.

**კახა შალამბერიძე**

**დღეს** 14 საათზე საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში გაიმართება საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალური ეტაპის წილისყრა.

# საგურამოს უცნაური

**უცნაური** თამაში იყო გუშინ საგურამოში: შემთხვევით უმაღლესლიგელი „გაგრა" შემთხვევით პირველლიგელ „ამერს" გაეჯიბრა.

ამერელებმა 3:2 მოიგეს.

პირველ ნახევარში „გაგრა" უკეთ გაისარჯა. მე-4 წუთზე თამაზ ჩარგეიშვილმა მეკარესთან ზვიად მეტრეველი დატოვა და მანაც აუღლვებლად გაიტანა.

თბილისელებმა მე-11 წუთზე გაათანაბრეს ანგარიში. გიორგი კბილცეცხლაშვილმა ბურთი მეკარეს თავზე გადაავლო და ეფექტური გოლიც გამოაცხო.

„ამერმა" პირველ 45 წუთში დაცვაში საკმაოდ ბევრი შეცდომა დაუშვა, ერთ-ერთ ასეთ უყურადღებობას კი 42-ე წუთზე გოლიც მოჰყვა — გიორგი კვანტალიანი საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩა, მანაც თავისუფლად მიიღო ბურთი, კარშიც დაარტყა, მცირე რიკოშეტი და 1:2.

მეორე ტაიმი გიორგი ჩიხრაძის შეგირდებმა უკეთ ჩაატარეს. 52-ე წუთზე გიორგი ელბაქიძემ მარცხენა ფრთაზე იაქტიურა და ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, გრძელიძემ საჰაერო ბრძოლა მოიგო, ბურთი „ამერის" კარში გოლის გამტან გიორგი კვანტალიანს თავში მოხვდა და 2:2.

მეორე ტაიმში თვალშისაცემი იყო ხისტი თამაშიც. ერთი სიტყვით, კარგი ბრძოლა გაჩაღდა.

მატჩის მიწურულს „ამერმა" გამარჯვების გოლიც შეაგდო. დათა სიჭინავამ მარცხნიდან ჩააწოდა, საჯარიმოში ყველაზე მაღლა ბესიკ ჩიმაკაძე ახტა და თავით ბურთი ცხრიანში ჩაჭედა.

გუნდების შემადგენლობები ასეთი იყო:

*ამერი:* ლ. ნადირაშვილი, ელბაქიძე, ხატიაშვილი, გვაძაბია, გ. ჯელაძე, ჯანელიძე, ქერაშვილი, ბენდელიანი, შალამბერიძე, კბილცეცხლაშვილი, ჩიმაკაძე.

*შეცვლაზე შევიდნენ:* გვენცაძე, სიჭინავა, ჩოხელი, სანიკიძე, გრძელიძე, ქებაძე, ხელაძე.

*გაბრა:* ნაჭყებია, ა. ტეტუნაშვილი, ნ. მგელაძე, გ. კვანტალიანი, გაბუნია, ჩარგეიშვილი, გაბედავა, სუხიშვილი, კორიფაძე, მეტრეველი.

*შეცვლაზე შევიდნენ:* გლუნჩაძე, ქაჯაია, ახალბედაშვილი, ი. აბაშიძე, ბ. ყიფიანი.

მორიგი ტესტ-მატჩი „ამერს" ხვალ აქვს დაგეგმილი თბილისის „დინამო 2"-თან.

**ნუგრი ლოლაძე**



გაგრელებს გაბედაშწყვეტი გოლი ბესიკ ჩიმაკაძემ (მარჯვნიდ) გაუტანა

გუშინ დოლენჯაშვილის ფოტო

## ამხანაგური მატჩები

**რონსე 2:1 კორტრაიკი**
**ჰოფენჰაიმი 3:1 ბლეიბერნი**
**პარტიკი 0:1 ბარნლი**
**ძრიუ 1:3 ვესტ ჰემი**
**ბრეჩინი 0:1 აბერდინი**
**იოვილი 0:3 ბრისტოლი**
**ბორნმუთი 1:4 პორტსმუთი**

## ირლანდია

**პრემიერლიგა. XIX ტური**
**სენტ პატრიკსი 1:1 შემროკი**

## სლოვაკეთი

**I ლიგა. I ტური**
**ძილინა 3:0 მორავცე**

## იაპონია

**ჯეი ლიგა**
**XVIII ტური**
**ურავა 1:3 კავაზაკი**
**კიოტო 1:1 ტოკიო**
**ნაგოია 4:0 ომია**

## დანია

**სუპერლიგა. I ტური**
**კოპენჰაგენი 1:0 ესბიერგი**

## შვედეთი

**ალსვენსკა. XV ტური**
**კალმარი 3:2 მალმიო**
**ლიუნგსკილე 2:1 აიკ**
**ჰელსინგბორგი 2:0 იურგორდენი**

**სუპერეტა**
**გადადებული მატჩები**
**იონკოპინგი 0:0 იორგრიტე**
**ძვიდინგი 5:0 ლანდსკრონა**
**ვასბი 2:1 დეგერფორსი**

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. XIII ტური**
**იარო 0:1 ინტერი**
**როვანიემი 4:0 კუოპიო**

## ნორვეგია

**ტიპელიგა. XIV ტური**
**სტაბეკი 5:1 ფრედრიკსტადი**

ტორსპავნი. 22 ივლისი. 22 საათი. გუნდადალური

## რუნავიკი — დინამო

მსაჯები: ტერო ნიემინენი, მიკა პოიკსელკა, იან-პეტერ არავირტა, ჰეიკი პაიუნენი (ყველა ფინეთი); უეფას დელეგატი: ადრიან ტიქტომბე (ინგლისი); დამკვირვებელი: იონას ბრაგა (ლიტვა)

# დინამოს ფარერებზე ხელოვნური გაუმზადეს

## დავით ოდიკაძე: პანათინაიკოსმა იდარდოს

თბილისის „დინამო“ გუშინწინ ჩაფრინდა ფარერის კუნძულებზე და დღეს ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის ფორმალურ საპასუხო მატჩს გამართავს — რაინერ ცობელის გუნდს ხომ შინ 3:0 აქვს მოგებული, არც ანგარიშის და მით უმეტეს, არც თბილისური თამაშის სცენარის მიხედვით, „რუნავიკს“ არანაირი შანსი არ აქვს. პირველ მატჩში

**დავით ოდიკაძე**

ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე, გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც მიითვალა. „ოდოს“ გუშინ ფარერებზე შევეხმიანეთ და ცოტა შეწუხებული ჩანდა, ხელოვნურ საფარზე გვათამაშებენო...



დავით ოდიკაძე: „ოდოს“ ფოტო

— ასეა, ხელოვნურზე ვვარჯიშობთ და თამაშიც იქ მოგვიწევს. თან ისე, რომ არც გავუფრთხილებივართ. კარგი ხელოვნური მაინც იყოს — ცუდი საფარია და ბიჭებს ფეხები დაეჭიმათ — ეს მათ, ვისაც კუნთის პრობლემა აქამდე ჰქონდა.

— სხვა სტადიონი არ აქვთ?

— არ ვიცი. ფაქტია, ხელოვნურზე მოგვიწევს. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე შეიძლება ასეთ საფარზე თამაშიო და რას ვიზამთ...

— ტრავმები ხომ არაა გუნდში?

— არა. მიკროტრავმები აქვს რამდენიმეს, მაგრამ დიდი არაფერი. აქ ვინც ვართ, მათგან, შესაძლოა, ჟორჟ აკირემიმ ვერ ითამაშოს. ისე, მილოშ კრშკომ უკვე ივარჯიშა ჩვენთან ერთად.

— „რუნავიკთან“ თბილისში პირველი ტაიმის მერე რატომ მოეშვით?

— როდესაც მეტოქისგან წინააღმდეგობას ვერ აწყდები, ძალაუნებურად შენც ვერ ინდომებ ბოლომდე და ფიქრობ, შემდეგი თამაშისთვის უკეთ ვიყოო. ასე მოგვივიდა. მგონი, პირველი ტაიმის მერე ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მეორე ეტაპზე გასულები ვიყავით. მუდმივად „პანათინაიკოსზე“ ვფიქრობთ, თუმც ხვალ „რუნავიკს“ არაფერს დავუთმობთ.

— რეალურად გაქვს იმედი, რომ „დინამო“ „პანათინაიკოსთან“ უკეთ ითამაშებს, ვიდრე „რუნავიკთან“ თბილისში?

— რაც უფრო ძლიერ გუნდს ხვდები, მით უფრო კონცენტრირებული ხარ. ჩვენ დასაკარგი არაფერი გვექნება და „პანათინაიკოსმა“ იდარდოს. მგონია, რომ ბერძნებს მოვუგებთ — ამას რომ ვამბობ, ზოგი გიჟს მეძახის, ზოგი ტრაბახში მითვლის.

— კარგია, რომ იმედი გაქვს...

— იცით, რატომ მგონია? ვხედავ, ჩემი თანაგუნდელები როგორ ელიან „პანათინაიკოსთან“ თამაშს, მეც დღეებს ვითვლი მანამდე. ძალიან მინდა, ბერძნებს მოვუგოთ და ეს შეუძლებელი ნამდვილად არაა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ამისულაშვილის რუსული ქება

**ნალჩიკის** „სპარტაკის“ მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი თითქმის ყოველი ტურის შემდეგ ექცევა რუსული მედიის ყურადღების ქვეშ. ჩვენებური ამჯერად გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ და ინტერნეტ-გამოცემამ „კულიჩკიმ“ დააფასა.

„სოვეტსკი სპორტმა“ ამისულაშვილი მატჩის („ნალჩიკი“ 1:1 „კრილია სოვეტოვი“) საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა, ხოლო „კულიჩკიმ“ ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

სულ კი 14 ტურში ამისულაშვილი სიმბოლურ ნაკრებში 5-ჯერ მოხვდა. 3-ჯერ ეს პატივი რუბინელ დავით კვირკველიას ერგო, ერთხელ მის თანაგუნდელ ლაშა სალუქვაძეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მიხეილ ბარაბაძე ჰიკ-ში რჩება?

**18 წლის** ფორვარდი მიხეილ ბარაბაძე წლეულს მარტში გადავიდა დანიის ქვედალიგელ ჰიკ-ში და ბლომად გოლებიც შეაგდო.

რამდენადაც ვიცოდით, სეზონის ბოლოს მისით დანიის უფრო ძლიერი გუნდები დაინტერესდნენ, თუმცა ფაქტია, რომ ბარაბაძე ჯერ არსად წასულა.

ახალგაზრდა ქართველმა „სკიოლდთან“ 4:1 მოგებულ მატჩში ერთი გოლი გაიტანა და ერთიც საგოლე პასი გაახერხა.

**ილია ნანოგაშვილი**

# სიონმა ალავიძე ინათხოვრა და დავითაშვილს ელის

**ბოლნისის** „სიონი“ რომ შეკრებას ურეკში გადის, ცნობილი ამბავია. ბოლნისელებმა უკვე რამდენიმე ტესტ-მატჩის გამართვაც მოასწრეს და კიდევ გეგმავენ.

მოგეხსენებათ, ახლახან ყოფილი ამერელები — ვლადიმერ კაკაშვილი და გივი დიდავა შეიმატეს. გუშინწინ ზუგდიდის „ბაიასთან“ მატჩში (0:0), კიდევ ერთმა ყოფილმა ამერელმა, არჩილ ალავიძემაც მოირგო „სიონის“ მაისურა და, როგორც ბოლნისურ კლუბში გვითხრეს, ალავიძე დედაქალაქური „ამერიდან“ ექვსთვიანი იჯარით აიყვანეს.

როგორც გუშინ შევიტყვეთ, თითქმის მიღწეულია შეთანხმება და მომავალ სეზონში „ამერის“ ყოფილი ფორვარდი სულიკო დავითაშვილიც „სიონში“ ითამაშებს.

**ნუგრი ლოლაძე**

# გაგრელები ბოსკამპთან რჩებიან და გოლაობენ



იოჰან ბოსკამპი

**ბელგიურ** „დენდერში“ რომ „გაგრას“ სამი ფეხბურთელი ისინჯება, ამაზე უკვე ვწერდით.

როგორც შევიტყვეთ, ისინი იოჰან ბოსკამპის გუნდში დარჩებიან, თუმც რამდენად ექნებათ სათამაშო პრაქტიკა, ეს უკვე მათზეა დამოკიდებული.

შეგახსენებთ ამ სამეულს: გიორგი ცხადაია, ზურაბ ძაგანია და ვახტანგ ქვრივიშვილი.

საინტერესო კი ისაა, რომ ჩვენებმა „დენდერში“ გოლებიც გაიტანეს.

„ჰერცელესთან“ 7:0 მოგებულ ტესტ-მატჩში ძაგანიამ შეაგდო, ცხადაიამ კი „დე კემპენთან“ (4:1) გაიტანა.

ისე, ამ მატჩებში „დენდერმა“, მეტწილად, მეორე გუნდის ფეხბურთელებით ითამაშა.

**ილია ნანოგაშვილი**

# უეფას თასზე ჩვენ გავალთ

ინტერტოტოს თასის მე-3 ეტაპზე სტუმრად ფრანგულ „რენთან“ 0:1 დამარცხების შემდეგ, სიმფეროპოლის „ტავრიას“ ქართველმა თავდამსხმელმა ვასილ გიგიაძემ უკრაინულ **FOOTBALL**-ს ინტერვიუ მისცა, რასაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ...



— „რენთან“ მატჩისას თავი გაგიტყდათ. რამდენად სერიოზული ტრავმაა?

— სერიოზული არაფერია, მომავალ მატჩში ვითამაშებ.

— ალბათ, საწყენია, რომ გუნდისთვის ასეთ მნიშვნელოვან დრაში მოედანზე მხოლოდ ტაიმი დაჰყავით...

— ცხადია, საწყენია, მაგრამ ვერაფერს ვიზამდი...

— რა დააკლდა „ტავრიას“ საფრანგეთიდან ფრის წამოსაღებ...

— იღბალი. „რენმა“ მატჩში ბოლო კუთხური ჩააწოდა და ერთადერთი გოლიც გაგვიტანა. თუმცა მჯერა, რომ გულშემატკივრების მხარდაჭერისა და დიდი მოტივაციის ხარჯზე, უეფას თასზე გადასვლას შევძლებთ.

— ფრანგმა გულშემატკივრებმა თქვენზე როგორი შთაბეჭდილება დატოვეს?

— ისინი სტადიონზე ბევრნი არ იყვნენ, მაგრამ გუნდს საკმაოდ ხმაურიანად ქომაგობდნენ.

— იმ ფაქტმა, რომ „ტავრიას“ საერთაშორისო გამოცდილების მქონე ბევრი ფეხბურთელი არ ჰყავს, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა?

— ამ ფეხბურთელთა თამაშიდან გამომდინარე, არ შეიძლება ითქვას, რომ ადრე უეფას თასზე არ უთამაშიათ, რადგან გუნდი ნორმალურად გამოიყურებოდა.

— რამდენად სერიოზულად ემზადებოდით „რენთან“ სათამაშოდ? ფრანგული კლუბის რამდენი მატჩი გინახავთ?

— მართალი გითხრათ, არც ერთი. მეტოქის შესახებ, პრაქტიკულად, არაფერი ვიცოდით, ისევე, როგორც მათ ჩვენზე.

# ტრნავამ სლოვაკეთი მოგებით დაიწყო

**„ვიტ ჯორჯიას“** საუეფასთასო მეტოქე ტრნავას „სპარტაკმა“ სლოვაკეთის ჩემპიონატი მოგებით დაიწყო. ვლადიმირ ვერმეზოვიჩის გუნდმა შინ 2:1 სძლია „დუბნიცას“.

გოლები კოპუნეკმა (მე-10 წუთ.) და ჰრუშკამ (42) გაიტანეს.

ტრნაველების შემადგენლობა ასეთი იყო: *რუბანსკი (ჰრდინა 46) — პონჩაკი, დოლეჟაი, ჩიფერსკი, დ. ჰანცელი — დურიში, კოპუნეკი, იელენკოვიჩი, ჰრუშკა — კოჟუხი (გულდანი 73), ფილიპოვიჩი (ბერნატი 65).*

**ილია ნანოგაშვილი**

# სიბირი კოდალაევს სასწრაფოდ იჭყვის

გურამ ფოლადაშვილის ფოტო

**ცხინვალის** „სპარტაკის“ მეკარე ბესარიონ კოდალაევი რუსეთის პირველდივიზიონელ ნოვოსიბირსკის „სიბირში“ ისინჯება.

„სიბირის“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გაურკვეველია გუნდში ძირითადი მეკარის დმიტრი ბოროდინის დარჩენა-არდარჩენის საკითხი.

რუსეთის ჩემპიონატის მეორე წრე 26 ივლისს უნდა განახლდეს და ციმბირელებმა მეკარის საქმე სასწრაფოდ უნდა მოაგვარონ.

შეგახსენებთ, რომ „სპარტაკის“ გარდა 26 წლის კოდალაევს კარიერაში თბილისის „დინამოში“, ბელარუსულ „სლავიაში“, მოლდოვურ „ნისტრუში“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და „ბორჯომში“ უთამაშია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მოლდოვა და დვალის გოლი

**მოლდოვის** ჩემპიონატში მორიგი ტური გაიმართა და ქართული გოლის გარეშე არ ჩაუვლია.

სერგი ორბელაძის, ლევან კორღანელიძისა და ჯაბა დვალის „დაჩიამ“ ბენდერის „დინამოს“ უმასპინძლა და 3:0 მოუგო.

ბენდერელთა განადგურებას სათავე დვალმა დაუდო, რომელმაც მე-5 წუთზე გახსნა ანგარიში.

„დაჩიამ“ მეოთხე ადგილზე აინაცვლა, თუმც ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

მამუკა ლომიძის „ზიმბრუ“ კი „ოლიმპიას“ ეწვია და 0:1 დამარცხდა, რითაც მეტოქეს მეორე ადგილი მესამეში გაუცვალა.

ჩემპიონატის ლიდერს, ვაჟა თარხნიშვილის „შერიფს“ კი მეოთხე ტურში თამაში გადაედო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბაციკაძე ისკრა-სტალში ჩაირიცხა

**მოლდოვურ** რიბნიცას „ისკრა-სტალში“ ქართველი ფეხბურთელი, ალექსანდრე ბაციკაძე ჩაირიცხა.

შაბათს ექსბათუმელმა ბაციკაძემ ახალ გუნდში ამხანაგური მატჩი „ცსკა-რაპიდის“ წინააღმდეგ ჩააბარა — „ისკრა-სტალმა“ 5:0 მოიგო და ქართველმა თავდამსხმელმა 2 გოლი გაიტანა.

3 ტურის შემდეგ „ისკრა-სტალი“ ჩემპიონატში მე-6 ადგილზეა.

**ძახა შალამბერიძე**

# ლაშა ჯაკობია გაგრაში ვარჯიშობს

## უკრაინა, რუსეთი, ბელგია ან ავსტრია

**ლაშა ჯაკობია კვლავ თბილისშია და წესით, აგვისტოს დასაწყისში უკვე უნდა იცოდეს, სად გააგრძელებს კარიერას. სავარაუდოდ, ჩვენიანი პოლტავის „ვორსკლაზე“ უკეთეს კლუბში გადავა...**

— არიან გუნდები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჩემით, თუმც „ვორსკლა“ ჩემში კაპიკებს არ ითხოვს. ცოტა არ იყოს, ძვირად მაფასებენ — გვითხრა ჯაკობიამ.

**— და თუ არავინ გადაიხადა ეს თანხა, „ვორსკლაში“ დარჩენა მოგიწევს?**

— არა, ეს წარმოუდგენელია. ახლა რამდენიმე კლუბი „ვორსკლასთან“ მოლაპარაკებას აწარმოებს. დაახლოებით 10 დღეში გაირკვევა, სად წავალ.

**— რომელი გუნდები არიან დაინტერესებულნი?**

— უკრაინაში, სადაც ვითამაშე, ყველგან ერთ-ერთი გამორჩეული ვიყავი. ყველაზე რეალური წინადადებები ისევ უკრაინის გუნდებიდანაა, თუმცა რუსეთის, ავსტრიისა და ბელგიის კლუბებიც არიან. ჯერ დაკონკრეტებას აზრი არ აქვს. „ვორსკლასთან“ კონტრაქტი რომ არა, ახლა უკვე კარგ გუნდში ვიქნებოდი.

**— თბილისში სად ვარჯიშობ?**

— „გაგრას“ მწვრთნელი გია ჭიაბრიშვილი ჩემი მეგობარია და გუნდთან ერთად ვარჯიშის ნება დამრთო. ამას გარდა, ფიზმომზადების მწვრთნელ ავთო ბერიძესთანაც გვვარჯიშობ. მოკლედ, დროს უქმად არ ვკარგავ.

**ილია ნანოგაშვილი**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი | შ | მატერსბურგი | | | 1 | 0 | 6 |
| ილია კანდელაკი | შტურმი | შ | მატერსბურგი | | | 1 | 0 | 6 |
| **ავსტრია. ერსტელიგა** | | | | | | | | |
| მირზა ბუალავა | ა. ლუშტენაუ | ს | გრატკორნი 0:2 | 0 | | 1 | 0 | 12 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | სპარტაკი 2:2 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 6 |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი | შ | სპარტაკი 2:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 3 | 0 | 6 |
| დავით კვირკველია | რუბინი | ს | ტერეკი 0:0 | 90 | | 12 | 2 | 1 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ტერეკი 0:0 | 90 | | 6 | 0 | 1 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | ტერეკი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | შ | კრილია 1:1 | 90 | | 9 | 0 | 5 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | ნალჩიკი | შ | კრილია 1:1 | 90 | 1 გოლი | 14 | 3 | 5 |
| დავით სირაძე | ნალჩიკი | შ | კრილია 1:1 | 87 | შეცვალეს | 12 | 1 | 5 |
| ლევან გვაზავა | ლუჩ-ენერგია | შ | დინამო 1:0 | 90 | | 10 | 1 | 14 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | ილიჩევეცი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | შ | ვორსკლა 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| კახა მუავანაძე | ჩერნომორეცი | შ | არსენალი 0:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 11 |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია | შ | მეტალისტი 1:1 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 8 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | ს | ტავრია 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| სანდრო კობახიძე | დნიპრო | ს | ტავრია 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| გიორგი დემეტრაძე | არსენალი | ს | ჩერნომორეცი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | დნიპრო 0:0 | 56 | შეცვალეს | 1 | 0 | 10 |
| **სლოვაკეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ლილუაშვილი | ნიტრა | შ | სტრედა 2:1 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის განვითარების პროგრამა. კითხვარი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ერთობლივად მუშაობენ ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე. ჩვენი სურვილია, დაინტერესებულმა პირებმა მაქსიმალურად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. გამოთქვან საკუთარი აზრი და მსურველებმა წარმოადგინონ პროგრამის საკუთარი ვარიანტი.

ამასთან დაკავშირებთ, გთავაზობთ კითხვარს. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პროგრამისა და შენიშვნების ავტორს მოეთხოვება ახსნა:

1. რა არის მისი პროგრამის შექმნის მიზეზი და რა აუცილებელი პირობების შექმნაა საჭირო პროგრამის უზრუნველსაყოფად.
2. პროფესიულ საქმიანობაში რა კონკრეტული პრობლემა აწუხებს ყველაზე მეტად და რომელი მათგანის გადაჭრაა აუცილებელი.
3. კონკრეტულად რა არ აკმაყოფილებდა მოქმედ პროცესში. რა სურს შეცვალოს და როგორ?
4. პროგრამაზე მუშაობისას კონკრეტულად რა ახალი შედეგები იქნა მიღებული. რა მიზანი აქვს და რა შედეგს მოგვცემს მისი რეალიზაცია?
5. ფეხბურთის განვითარების მოცემულ ეტაპზე რომელ კონკრეტულ ამოცანას წყვეტს პროგრამა?
6. რომელი არატრადიციული ხერხები გამოიყენება პროგრამაში და როგორ?
7. რა კრიტერიუმით ხდება ფეხბურთელის განვითარების შეფასება? როგორია შეფასების ეს სისტემა?
8. რაში მდგომარეობს სიახლის თავისებურება და ორიგინალობა? რით განსხვავდება ის ძველისგან?
9. რომელ თეორიულ დებულებასა და სამეცნიერო-კვლევით შედეგებს ეყრდნობა საავტორო პროგრამა?
10. მიუთითეთ გამოყენებული ლიტერატურა.

გთხოვთ, თქვენი იდეები მოგვაწოდოთ ფეხბურთის ფედერაციაში ან გამოგვიგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე GFF@GFF.GE 2008 წლის 1 სექტემბრამდე.

# მესის ბურთს აუკრძალავენ

**„ბარსელონას“** შემტევმა ლიონელ მესიმ, შესაძლოა, დისკვალიფიკაციას გამოჰკრას ხელი, თუ ოლიმპიადაზე არ წავა.

არგენტინის ფეხბურთიის ფედერაციამ ოლიმპიური გუნდის შემადგენლობა ივლისის დასაწყისში გამოაცხადა და მასში მესიც იყო.

„ბარსას“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები ელის და ცდილობს, რომ არგენტინელი ჩინეთს როგორმე აარიდოს.

ეს ამბავი ოლიმპიურ კომიტეტამდე და ფიფამდე მივიდა, რომლებიც მესის ფეხბურთიდან მოკვეთით ემუქრებიან, თუ კლუბის ჭკუაზე გაივლის. ჩინეთში თამაშების დასრულებამდე არგენტინელს ბურთის გაგორებას აუკრძალავენ.

„ფიფამ“ კიდევ ერთხელ შეახსენა კლუბებს, რომ ისინი ვალდებულნი არიან, გაუშვან ფეხბურთელები — თქვა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა — წესებში გარკვევით წერია: თუ კლუბი ფეხბურთელს არ გაუშვებს, მას ოლიმპიადის დასრულებამდე თამაშის უფლება არ ექნება. ეს კი ნიშნავს, რომ კლუბი მაინც ვერ გამოიყენებს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ინტერი ლამპარდს მოეშვება?



**მილანის** „ინტერი“ ფრენკ ლამპარდის ხელში ჩაგდებას ვერაფრით ახერხებს და ამბობენ, „ნერაძურიმ“ ყურადღება სხვა ნახევარმცველებზე გადაიტანაო. მით უმეტეს, მას მერე, რაც ლონდონის „ჩელსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კინიონმა თქვა, ლამპარდთან მოლაპარაკებაში მცირე პროგრესია და იმედია, მალე ახალ კონტრაქტს გავაფორმებთო.

„ყოველთვის ვამბობდი, რომ ფრენკის შენარჩუნება გვინდა და მოლაპარაკებებში მცირე პროგრესია. იმედია, მალე ახალ კონტრაქტს გავაფორმებთ. მოქმედი შეთახმებით კი ლამპარდი კიდევ ერთი წლით ჩვენი ფეხბურთელია“ — აღნიშნა კინიონმა.

„ინტერმა“ კი თურმე ალტერნატიულ ვარიანტებზე დაიწყო ფიქრი. მარეკ ჰამშიკი ახლა ერთ-ერთი ყველაზე საუსურველი ფეხბურთელია, მაგრამ ახალგაზრდა სლოვაკს დიდი ფასი ადევს, თანაც „ნაპოლი“ ამ ზაფხულს მის გაყიდვაზე არ ფიქრობს და ნაკლებ სავარაუდოა, „ნერაძურის“ რამე გამოუვიდეს.

ლაპარაკია ხაბი ალონსოზეც. ლივერპულელი თითქოს „იუვენტუსში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. თუმც, თუ „ინტერი“ მერსისაიდელებს გაურიგდება, ბასკს მაინც ვიხილავთ სერია A-ში.

თუ „ნერაძურის“ ლუის „ლუჩო“ გონსალესის ყიდვა უნდა, მინიმუმ 10-12 მილიონის დახარჯვა მოუწევს. 27 წლის არგენტინელი „პორტუს“ ლიდერია და „დრაკონები“ მას მხოლოდ სარფიანი წინადადების მიღების შემთხვევაში შეელევიან.

არის კიდევ ერთი კანდიდატი — ალბერტო აკვილანი, ვინც „რომასთან“ ახალი კონტრაქტის პირობებს ვერ ათანხმებს და შესაძლოა, „სტადიო ოლიმპიკო“ დატოვოს. თუმცა ამბობენ, მისი გადაბირების მეტი შანსი „იმუვენტუსს“ აქვს, რადგან ტურინელთა რიგებში აკვილანის ახლო მეგობრები ჯორჯო კიელინი და ჯანლუიჯი ბუფონი თამაშობენ, რომლებიც მას „ბიანკონერიში“ დიდი ხანია, ეპატიჟებიან.

ბოლო იფორმაციით კი ყველაზე სასურველი ამწუთას რიკარდუ კვარეშმა, რომელსაც მილანელები დიდი ხანია, უტრიალებენ და ჟოზე მაურინიუსაც უთქვამს, თუ რიკარდუს დავიმატებთ, ძალიან კარგი იქნებაო.

**გიორგი კაკაბაძე**




# დღეს მშობელს მოიყვანენ!

**ბრემენის** „ვერდერის“ დირექტორები დღეს დიეგოს მამას და აგენტს დიაირ და კუნიას შეხვდებიან, რათა ოლიმპიადაზე ფეხბურთელის წასვლა-არწასვლის ამბავი გაარკვიონ.

ბრაზილიელი ნახევარმცველის საკითხი გაიწელა და გუნდს სეზონისთვის მომზადებაში ხელს უშლის. დუნგამ დიეგო ოლიმპიადისთვის გამოიძახა, მაგრამ „მუსიკოსების“ დირექტორი კლაუს ალოფსი ბიჭს ჩინეთში არ უშვებს.

„ამ ამბავს საბოლოო წერტილი დღეს დაესმება, როცა დიეგოს მამა „ვერდერის“ დირექტორებთან მოსალაპარაკებლად ჩამოვა“ — ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ უკვე მისწერა ბრემენელ „მუსიკოსებს“, რომ ფიფას წესს თავი დაუხარონ და ფეხბურთელი ოლიმპიურ ნაკრებში გაუშვან.

„ფიფამ გარკვევით უთხრა და გააგებინა კლუბს, რომ ვალდებულია, დიეგოს ბრაზილიის ნაკრებში თამაშის უფლება მისცეს“ — ეს კი ნახევარმცველის მენეჯერმა შეინკმანმა განაცხადა.

„ვერდერის“ დირექტორი კლაუს ალოფსი გერმანიის ფეხბურთის ასოციაციას მიადგა კლუბის ინტერესების დასაცავად: „ასოციაციის გენერალურ მდივან ვოლფგანგ ნიერსბახს ტელეფონით ვესაუბრე და დამაიმედეს, რომ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციას არგუმენტებით უპასუხებენ. ვერანაირ აუცილებლობას ვერ ვხედავთ საიმისოდ, რომ დიეგომ ოლიმპიადაზე ითამაშოს.

ფეხბურთელი ჩვენს წინაშეა ვალდებული, რადგან ხელფასს ვუხდით. ის ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მოთამაშეა, „ვერდერისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანია და ოლიმპიადისთვის ვერ გავიმეტებთ. ოლიმპიადაზე მისი წასვლის სურვილი გასაგებია, მაგრამ პროფესიულ ფეხბურთს და დამკვიდრებულ წესებს ეხება საქმე“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჯიუტი თხები

## პოდოლსკის დასასრული არ უჩანს

**„კიოლნის“** გენერალური მენეჯერი მიხაელ მაიერი ლუკაშ პოდოლსკის მაინც არ ეშვება და თქვა, რომ „ბაიერნის“ ფორვარდის გადაბირების ოცნება კვლავ ცოცხლობს.

ფეხბურთელმა მიუნხენურ კლუბში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და ამ ზაფხულს ყოფილ გუნდში, „კიოლნში“ გადასვლას ლამობდა.

„ბაიერნის“ შეფებმა და მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა მილიონჯერ განაცხადეს, რომ პოდოლსკი არ იყიდება, მიხაელ მაიერი კი ამბობს, რომ „კიოლნი“ არ ძალადობს და მხოლოდ ფეხბურთელის სურვილს ეხმაურება.

„ამჟამად ყველაფერი ნათელია, რადგან „ბაიერნმა“ ოფიციალურად განაცხადა, პოდოლსკის არ ვყიდითო. ჩვენ, რა თქმა უნდა, პატივს ვცემთ ამ გადაწყვეტლიებას. იურგენ კლინსმანს მიროსლავ კლოზე და ლუკა ტონი ჰყავს, რომლებსაც ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვთ. ამას ლუკაშ პოდოლსკი დავუმატოთ და სამი ფორვარდი გამოვა.

გასაგებია, რომ „ბაიერნს“ მესამე თავდამსხმელი სჭირდება, მაგრამ ჩვენ მაინც შანსს ველით. როცა პოდოლსკისთანა ფეხბურთელი თავს ბედნიერად ვერ გრძნობს, ეს მის ფსიქოლოგიაზე უარყოფითად მოქმედებს. ფაქტია: ლუკაში და მისი ოჯახი მიუნხენში ბედნიერები არ არიან. მე ვსაუბრობ ქალაქზე და არა კლუბზე. თუ კვლავაც იშვიათად ათამაშებენ, უფრო მეტად წახდება“.

„ბაიერნის“ გენერალურმა მენეჯერმა ული ჰაინესმა კიოლნელი კოლეგა დააშვიდა: „პოდოლსკის კონტრაქტში არის პუნქტი, რომლითაც ფეხბურთელის გაყიდვის შემთხვევაში, უპირატესობა „თხებს“ მიენიჭება. დავუშვათ, „მანჩესტერმა“ და „კიოლნმაც“ 20-20 მილიონი ევრო შემოგვთავაზეს. თუ პოდოლსკი „თხებში“ გადასვლას ისურვებს, ხელს არ შევუშლით, მაგრამ კიოლნელები ასე უკან დევნას თუ დაუწყებენ და წამდაუწუმ თავისკენ დაქაჩავენ, კარგი არ იქნება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რამდენი ადგილია თვითმფრინავში?




**„ჩელსი“** სეზონისწინა შეკრებაზე ჩინეთსა და მალაიზიას გაემგზავრა, ოღონდ, არასრული შემადგენლობით: „ლურჯებს“ თან კოტდივუარელი ვარსკვლავი, თავდამსხმელი დიდიე დროგბა არ ახლავთ. მიზეზი: თუ რომან აბრამოვიჩის კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი არ ალამაზებს, დროგბა მუხლის ტრვამას იშუშებს.

ბუნებრივია, აღმოსავლეთში დროგბას არწასვლის ფაქტი ხალხში ჭორებს დაარხევს. საქმე ის გახლავთ, რომ სპილოსძვლისნაპირელი მთელი წელიწადია, „ჩელსიდან“ წასვლაზე ლაპარაკობდა და ისიც ცნობილია, რომ მისი შეძენა რამდენიმე წამყვან ევროპულ კლუბს სურს.

აღსანიშნავია, რომ ფრენკ ლამპარდი, რომელსაც მილანის „ინტერთან“ აქვს სატრანსფერო ისტორია, თვითმფრინავშია და ლუიშ ფელიპე სკოლარის ხელმძვანელობით ჩინეთ-მალაიზიის სტადიონებზე ივარჯიშებს.

შეგახსენებთ, რომ დროგბას „მილანი“ და „ბარსელონა“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ რამდენიმე დღის წინანდელი ცნობის თანახმად, მისი აგენტის თქმით, ის, შესაძლოა, „ჩელსიში“ დარჩეს კიდეც. ლონდონელთა ახალმა მწვრთნელმა, ზემოხსენებულმა ბრაზილიელმა სკოლარიმ დაუფარავად თქვა, რომ თავდამსხმელი 200 პროცენტით მისი გეგმის წევრია.

თუ არ გვატყუებენ, ჩინეთ-მალაიზიის თვითმფრინავში ტრავმის გამო ვერ ჩავდა კლაუდიო პისაროც, ხოლო მიხაელ ბალაკმა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ უკვე საკმარისად დაისვენა და მწყობრშია.

**პაპუნა კვედია**

# ცუდების ათეული

**„მანჩესტერ სიტიმ“ 18 მილიონი გირვანქა მიართვა ცსკა-ს ბრაზილიელ ჟოში, პრემიერლიგიდან გავარდნას ძლივს გადარჩენილმა „ბოლტონმა“ კი ქისა გახსნა და „ტულუზს“ იოჰან ელმანდერში 10 მილიონი მიუთვალა. ინგლისური კლუბები კვლავაც საუკეთესო გადამხდელები არიან მსოფლიოში, მაგრამ ტრანსფერები ყოველთვის არ ამართლებს. „სანმაც“ მორიგი ათეული შეადგინა — ყველაზე ცუდი ტრანსფერები პრემიერლიგის შექმნიდან (1991) დღემდე**

## 10. ხოსე ანტონიო რეესი („არსენალი“, 10,5 მილიონი)



იშვიათად, რომ არსენ ვენგერმა ვერ „გამოიცნოს“ ფეხბურთელი, რომელსაც ყიდულობს და რეესიც სწორედ იშვიათი შემთხვევა იყო. „სევილიაში“ კარგი სეზონი ჰქონდა და ფრანგმა მწვრთნელმაც ათი მილიონი არ დაიშურა მის საყიდლად, მაგრამ ესპანელმა ვერ გაამართლა. 69 მატჩში 16 გოლი გაიტანა, ლონდონურ ამინდზე დაიწუწუნა, ვერ ვეგუებიო და შინ დაბრუნდა.

## 9. ჯიბრილ სისე („ლივერპული“, 14 მილიონი)



ორი წლის განმავლობაში ცდილობდა ჟერარ ულიე ფრანგი ფორვარდის შეძენას და დიდი ზარ-ზეიმით გადაიხადა 14 მილიონი, მაგრამ სისემ ფეხი მოიტეხა და გამოჯანმრთელების შემდეგაც ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია. 11 გოლი 49 მატჩში და რეესივით საშობლოსკენ გასწია.

## 8. დარენ ბენტი („ტოტენჰემი“, 17 მილიონი)

რეესსა და სისეზე უფრო ძვირი დაუჯდა „ტოტენჰემს“ ჩარლტონელი ფორვარდი შარშან, მაგრამ სანაცვლოდ 27 მატჩში ექვს გოლზე მეტი ვერ მიიღო. ამ სეზონში თუ არ მოუმატებს, სხვა კლუბის მოძებნა მოუწევს.

## 7. ადრიან მუტუ („ჩელსი“, 16 მილიონი)

რომან აბრამოვიჩმა „ჩელსი“ რომ იყიდა, ერთ-ერთი პირველი შენაძენი კლუბისთვის ადრიან მუტუ იყო. ფორვარდი მალე კოკაინის ყნოსვაში ამხილეს და ფეხბურთიდან მოკვეთეს. „ჩელსის“ კი 27 მატჩში ექვსი გოლი დაუტოვა.

## 6. სტივ მარლე („ფულემი“, 11,5 მილიონი)



პრემიერლიგაში აღზევებულმა „ფულემმა“ კლუბისთვის სარეკორდო თანხა გადაიხადა „ლიონის“ მეგოლეში, მაგრამ ფრანგი ინგლისურ ფეხბურთში ჩაიკრაგა — 11 გოლი 54 მატჩში.

## 5. სერგეი რებროვი („ტოტენჰემი“, 11 მილიონი)

ვინ იფიქრებდა, რომ 90-იანი წლების კიევის „დინამოს“ სუპერწყვილი რებროვი-შევჩენკო ასე ცუდად ითამაშებდა პრემიერლიგაში? რებროვს „ტოტენჰემში“ ლამის მარადონასავით შეხვდნენ, მაგრამ 59 მატჩში 10 გოლი ძლივს მოაგროვა.

## 4. ჰრის სატონი („ჩელსი“, 10 მილიონი)



ცხრა წლის წინ შიდაინგლისურ ტრანსფერში ათი მილიონის გადახდა მოულოდნელი ამბავი იყო. „ბლექბერნში“ საუცხოოდ მოთამაშე სატონი „ჩელსიში“ 28 მატჩში ერთ (!) გოლს დასჯერდა.

## 3. ელჰაჯი დიუფი („ლივერპული“, 10 მილიონი)



მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე სენეგალელმა შემტევმა ისე იბზრიალა, რომ მსურველი კლუბების რიგი დაუდგა და „ლანსიდან“ „ლივერპულში“ ამოყო თავი. პრემიერლიგის ფეხბურთს ვერ გაუგო და 55 მატჩში სამი გოლი შეაგდო.

## 2. ალბერტ ლუკე („ნიუკასლი“, 10 მილიონი)

„ნიუკასლს“ ტრანსფერებში არაერთხელ მიუქარია, მაგრამ ალბერტ ლუკე ყველაზე დიდი შეცდომაა. „დეპორტივოს“ ფორვარდმა „ნიუკასლში“ იწვალა და 21 მატჩში მხოლოდ ერთი გოლით შეეწია.

## 1. ანდრეი შევჩენკო („ჩელსი“, 30 მილიონი)

რომან აბრამოვიჩმა აიტეხა ანდრეი შევჩენკო და ძალით მიუყვანა ჟოზე მაურინიუს, ამ საქმიდან კი ის გამოვიდა, რომ 30-მილიონგირვანქიანი ფორვარდი „სანის“ ათეულის თავში მოექცა — 9 გოლი 49 მატჩში.

**ვაჟა ხუციშვილი**

ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

იტალიელთა სიხარული

# შვიდგოლიანი თრილერი

**A ჯგუფი. III ტური**

**უნგრეთი 1:2 გერმანია**

**ესპანეთი 4:0 ბულგარეთი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:3 | 3 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:8 | 0 |

**B ჯგუფი. III ტური**

**იტალია 4:3 ჩეხეთი**

**ინგლისი 3:0 საბერძნეთი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ინგლისი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| საბერძნეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:4 | 2 |

A ჯგუფიდან გასულების ვინაობა მეორე ტურის მერევე გაირკვა. ლიდერებმა პირველი ადგილი გაითამაშეს და გამარჯვება გერმანელებს დარჩათ, რომლებიც ნახევარფინალში სამ მატჩში სამი მოგებით გავიდნენ და ახლა მასპინძელ ჩეხებთან მოუწევთ გაჯიბრება.

ტურნირის დებიუტანტი და სენსაცია უნგრეთის ნაკრები კი ნახევარფინალში იტალიას შეეჭიდება. ტიბორ სისამ გერმანელებთან ძირითადი შემადგენლობის 7 მოთამაშე დაასვენა, მაგრამ მისი შეგირდები მაინც მშვენივრად გამოიყურებოდნენ.

მიუხედავად გერმანელთა უპირატესობისა, სახიფათო მომენტები ძალიან იშვიათად იქმნებოდა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. თუმცა შტეფან რაინჰარცმა თავურით მაინც შეძლო გატანა.

74-ე წუთზე ანდრაშ სიმონმა თავურითვე გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ უნგრელები მიდწეულით მხოლოდ წუთ-ნახევარი ტკბებოდნენ — მარსელ რიისემ რამდენიმე მომენტის გამოუყენებლობის შემდეგ მიზანი გაისწორა და გერმანიას გამარჯვება მოუტანა.

გვიან გამოიღვიძა ესპანეთმა. ბოლო ორი ტურნირის მომგებმა პირველებმა საწყალ ბულგარეთს კი გადაურბინეს და ოთხი უპასუხო გოლიც გაუტანეს, მაგრამ ჩემპიონატი მათთვის დასრულდა. თუმცა მესამე ადგილზე გასვლაც ხეირია, ეს ესპანეთს 2009 წლის 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლებას აძლევს.

B ჯგუფში კი ყველაფერი ბოლო წამებამდე იყო გაურკვეველი. იტალიის ნაკრებმა ტურნირი ძალიან მძიმედ დაიწყო და თავი რთულ მდგომარეობაში ჩაიგდო, თუმცა თუ ფრანჩესკო როკას შეგირდები მასპინძელი ჩეხების სიმპათიურ გუნდს მოუგებდნენ, ნახევარფინალში გადიოდნენ. არ ჰქონდა მნიშვნელობა, პარალელური შეხვედრა როგორ დასრულდებოდა. ეს შეძლეს კიდეც, მაგრამ უაღრესად დაძაბულ და საინტერესო შვიდგოლიან თრილერში.

ჩეხები საწყის წუთებში კარგად კი გამოიყურებოდნენ, მაგრამ ვერაფერს გამორჩნენ. იტალიამ კი თავისი პირველი რეალური შანსი გამოიყენა — სტეფანო ოკაკა ჩუკამ ალბერტო პალოსკის უპასა, რომელმაც მშვენივრად მონახა ანდრეა პოლი და 1:0.

ჩეხებს ერთი წუთიც არ დასჭირდათ წონასწორობის აღსადგენად. ტომაშ ნესიდმა კიდევ ერთხელ გამოავლინა ოსტატობა და ტურნირზე თავისი მესამე გოლი შეავდო. ჯერჯერობით ისაა საუკეთესო ბომბარდირი.

მასპინძლებმა იერიშებს უმატეს, მაგრამ აპენინელებმა გაუძლეს და... 56-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ჯაკომო ბონავენტურამ კოხტა, დაბალი დარტყმულით კვლავ წინ გაიყვანა იტალია. 2 წუთიც არ გასულა და ჩეხებმა კიდევ ერთხელ გააყაიმეს — ნესიდისა და პეტრ რაიბერკის კომბინაცია იან მორავეკმა დააგვირგვინა.

72-ე წუთზე პალოსკიმ პენალტი მოინადირა და თავადვე გაიტანა. 75-ეზე კი აპენინელებს ანდრეა მაცარანი გაუძევეს. მიუხედავად ამისა, პოლიმ ანგარიში 4:2 გახადა, მან ოკაკა ჩუკას პასით იხეირა. მაპინძლები არ დანებდნენ, ნესიდს მომენტი ჰქონდა. მორავეკმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა და ბოლო წუთები ძალიან დაძაბული გამოდგა, მაგრამ აღარაფერი შეცვლილა.

ამ შედეგმა ორივე ნაკრები გაიყვანა ჯგუფიდან. ინგლისმა მეორე ტაიმში სამი გოლით კი ამოავსო დისკვალიფიცირებული ლიდერის სოტირის ნინისის გარეშე მყოფი საბერძნეთი, მაგრამ ნახევარფინალში ვერ გავიდა, რადგან ჩეხეთის არწაგება სჭირდებოდა. სამაგიეროდ, ჯგუფში მესამე ადგილმა ინგლისელებს 2009 წლის მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის საგზური მოუტანა.

**ძოკი კანდელაკი**

**ნახევარფინალი: 23 ივლისი**

**გერმანია — ჩეხეთი**

**იტალია — უნგრეთი**

# პირველი ბელარუსი ბარსაში

**ამ ზაფხულს ლონდონის „არსენალიდან" „ბარსელონაში" გადაბარგებულმა ალექსანდრ გლებმა პირველი ინტერვიუ მისცა კატალონიური გრანდის ტელევიზიას „ბარსას" ფეხბურთელის რანგში. ბელარუსმა ბევრ საინტერესო საკითხზე ისაუბრა. მათ შორის, ისიც აღნიშნა, რომ მისი სანუკვარი ოცნება ჩემპიონთა ლიგის ფინალში „არსენალის" წინააღმდეგ თამაშია**

**— რას ნიშნავს თქვენთვის „ბარსა"?**

— ეს დიდი შანსია ჩემთვის. შვიდი წლიდან ვოცნებობდი, რომ ერთხელაც მოვირგებდი ისეთი კლუბის მაისურას, როგორიც „ბარსაა". მე მიყვარს „ბარსა" და მინდა, მასთან ერთად იმდენი ტიტული მოვიგო, რამდენიც შესაძლებელია.

**— რა იცით „ბარსას" შესახებ?**

— ვიცი, რომ ეს დიადი კლუბია, ბრწყინვალე მოთამაშეებით. ჩემი ერთადერთი სურვილია, შევერწყა კოლექტივს, ვითამაშო კარგი ფეხბურთი და, რა თქმა უნდა, გავიმარჯვო.

**— მოგეცათ ქალაქის დათვალიერების შესაძლებლობა?**

— არცთუ ისე. აქ ჩემს მეგობარ სესკ ფაბრეგასთან ერთად ვიყავი ჩამოსული ერთი დღით და წესიერად ვერც ვნახე ქალაქი, რომელიც ახლა ჩემი სახლი გახდა.

**— თქვენ პირველი ბელარუსი ხართ, რომელსაც ოდესმე უთამაშია „ბარსაში".**

— ეს შესანიშნავია და მეამაყება კიდეც.

**— ფეხბურთზეც ვისაუბროთ. პრაქტიკულად ყველგან შეგიძლიათ თამაში, მაგრამ მაინც რომელი პოზიცია გირჩევნიათ?**

— ჩემთვის მართლა არცთუ მნიშვნელოვანია, სად ვითამაშებ. მზად ვარ, დავდგე იმ პოზიციაზე, რომელსაც მწვრთნელი მეტყვის. „არსენალში", არსენ ვენგერთან ბევრი ვისწავლე. იგი აბსოლუტურად განსხვავებულ პოზიციებზე თამაშს მასწავლიდა და შეჩვეული ვარ ამას.

**— უკვე დავრწმუნდით, რომ ორივე ფეხით შესანიშნავად ურტყამთ. ახლა ისიც გვითხარით, მემარჯვენე ხართ, თუ ცაცია?**

— მემარჯვენე ვარ, მაგრამ ამ ბოლო დროს ვატყობ, რომ ცაციათი უკეთესად ვურტყამ, რადგან უფრო ხშირად ვვარჯიშობ მარცხენათი დარტყმასა და პასზე.

**— პრესკონფერენციაზე ხერარდ პიკემ განაცხადა, რომ თქვენი მისვლით „ბარსას" შეტევები უფრო და უფრო დაიხვეწება. მან ისიც თქვა, რომ ერთი-ერთზე თქვენი შეჩერება ძალიან რთულია...**

— დიდი მადლობა პიკეს, მაგრამ ჩემზე საუბარი არ მსურს. ერთადერთი, რაც მინდა, მივცე ამ კლუბს ყველაზე საუკეთესო, რისი გაღებაც კი შემიძლია.

**— ალბათ იცით, რომ „ბარსას" ინჩასებს შემტევი ფეხბურთი უყვართ...**

— ის, როგორც „ბარსელონა" თამაშობს, მაგარია. „ბარსა" და „არსენალი" მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთს აჩვენებენ. მე „არსენალიდან" გადმოვბარგდი, ასე რომ, ვიცი, როგორ უნდა ითამაშო ასეთი ფეხბურთი და იმედი მაქვს, პრაქტიკას აქაც გავივლი.

**— როდესაც „ბარსაზე" და „არსენალზე" საუბრობთ, არ გახსენდებათ 2006 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი? მაშინ თქვენ „მეთოფე" იყავით...**

— ეს ძალზე მნიშვნელოვანი თამაში იყო ჩემს ცხოვრებაში. წავაგეთ, მაგრამ მატჩი შესანიშნავი გამოდგა. ახლა კი „ბარსასთან" ერთად გამარჯვება მსურს და იმედია, ეს ამ სეზონში მოხდება და ფინალში სწორედ „არსენალი" შეგვხვდება.

**— გერმანული ბუნდესლიგის და ინგლისური პრემიერლიგის ვარსკვლავი იყავით, ახლა კი ესპანეთში მოგიწევთ თამაში. რა იცით ადგილობრივი ფეხბურთის შესახებ?**

— ძალიან რთული ჩემპიონატია ფეხბურთის უმაღლესი დონით. ვნახოთ, როგორ გამოვიჩენ თავს. იმედია, ბევრს ვითამაშებ და კლუბს ტიტულების მოგებაში დავეხმარები.

**— ამ ზაფხულს „ბარსამ" უკვე შეიძინა ოთხი მოთამაშე: კასერესი, კეიტა, პიკე და ალვეში. რას ფიქრობთ მათ შესახებ?**

— ისინი ფანტასტიკური დონის მოთამაშეები არიან და კლუბში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ. ამას ისიც დავუმატოთ, რომ მწვრთნელს მათი სჯერა. ვფიქრობ, ამ ცვლილებების შედეგად ჩვენ შევძლებთ ლამაზი ფეხბურთის ჩვენებას და ტიტულების მოგებას.

**— ცვლილებები მოხდა სამწვრთნელო შტაბშიც. რა იცით ხოსეპ გვარდიოლას შესახებ და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მასთან ურთიერთობის შემდეგ?**

— ის დიდი მოთამაშე იყო, ახლახან კი რეზერვისტებთან ერთად ჩემპიონატი მოიგო. იმედი მაქვს, რომ გვარდიოლა ამას პირველ გუნდთან ერთადაც მოახერხებს.

**— ახალ სეზონში რაზე ამყარებთ იმედებს?**

— მინდა, სწრაფად მოვახერხო ადაპტაცია და უბრალოდ, ვითამაშო, თანაგუნდელებთან ერთად გამოსვლით სიამოვნება მივიღო. ეს ჩემთვის ნომერ პირველი მიზანია.

**— „ბარსაში" კვლავ მოგიწევთ ტიერი ანრისთან მხარდამხარ თამაში...**

— დიახ. ის ჩემი პარტნიორია. ჩვენ ორი წელი გამოვდიოდით ერთად და კარგად გვესმის ერთმანეთის. მოხარული ვარ, რომ მასთან ერთად მომიწევს თამაში.

**— კიდევ ვის იცნობთ ახალი თანაგუნდელთაგან?**

— ყველას, მე ხომ მათ თამაშს ტელევიზორით ვუყურებდი.

**— ამბობენ, რომ ფაბრეგასი თქვენი უახლოესი მეგობარია. რა გიამბოთ სესკმა თქვენი ახალი კლუბის შესახებ?**

— აკადემიაში გატარებულ წლებზე, როცა პიკესთან და მესისთან ერთად გამოდიოდა. მას ძალიან უყვარს ეს კლუბი და მართალია, სესკი „არსენალის" მოთამაშეა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ერთხელაც დაბრუნდეს... სესკი და ფლამინი „არსენალში" ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან.

**— როცა ანრი ბარსელონაში ჩამოვიდა, მან რამდენიმე წინადადება თქვა კატალონიურად, რაც სესკმა ასწავლა. შეგიძლიათ, იმავეთი გვასიამოვნოთ?**

— Bona tarda... იმედია, მალე ვისწავლი ამ ენას, რათა შემდგომში თავისუფლად ვისაუბრო.

ალექსანდრ გლები

*ტოტალიზატორი*

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

— კტპ როგორ იშიფრება, არ იცი?

— რად გინდა?

— მინდა, რო შევაგინო, მარა ისეთი სახელია, გინების კონტექსტში ვერ ჩავსვი. ცოტა ჟღერადი მაინც იყოს.

— როგორ ჟღერადი?

— აი, მაგალითად, როგორც „დორდრეხტი“.

— „დორდრეხტზე“ გულიანად იგინები?

— „დორდრეხტზეც“ და „მაასტრიხტზეც“. აბა, მისმინე: „დორტდრეხტის“... ან „მაასტრიხტის“... კარგად გამოდის?

— ცვეტში!

— ჰოდა, კტპ-ს რასშიფროვკას ვეძებ ინტერნეტში, რომ გინებით ვიჯერო...

— რამ გამოგაკტპვა, ტო!

— რა და კტპ-ს რო წაეგო, იცი რამდენს ვიგებდი?

— რამდენს?

— იმენა სილვიო ბერლუსკონი ვიჩითებოდი, მედიამაგნატი. პროსტაამც, გუნდს 12 ტურში ათი წაგება და ორი ნიჩია ჰქონდა. ფუტბოლი ხო იცი, არა? ესეთ გუნდს „ჰაკასთან“ არ უნდა წაეგო? როგორ არ დამეწერა, ტო! იყომარეს და აძინ აძინ არ დასვეს, ამ...

— მაიცა, ძმაო, მოდი, კტპ-ს თავი დაანებე და „ჰაკას“ ვაგინოთ, ეგ ხო უფრო კარგად ჟღერს...

— კი, რა, ტო! შენ მეორე ბილეთი არ გინახავს!

— რა გეწერა?

— „ბრინი“ — „მოსის“ 9 და ნაკლები გოლი...

— მერე?

— რა მერე, ტო! 5:5 დამთავრდა. კაროჩე, სატანებს ვეთამაშები. „ბრინი“ 5:3-ს იგებდა და ბოლო ორ წუთში ორი გოლი არ გაუშვა? ვიღაც იოჰანესენმა და კვალჰეიმმა შეყარეს... რატო გაგაქვს, ტო, ბოლო წუთზე! იგროკი თუ ხარ, მანამდე გაიტანე, რა!

— ეგ ბილეთი რო დაგესვა, რამდენს იგებდი?

— „ჩელსის“ ვიყიდიდი და ხურდაც დამრჩებოდა.

— რას გეტყვი, იცი? ხო მაინც ვერ იგებ და ისეთი გუნდები ჩაწერე, რო შესაგინებლად ადვილი იყოს.

— ეგეთი წყვილი ვიცი...

— რომელია?

— „დომჟალე“ — „დუდელანჟი“.

— ჯიგარი ხარ. მაგაზე უფრო ჟღერადი რაღა უნდა იყოს. „დუდელანჟის“ ორიანი ვლეწოთ და რო წააგებს, მერე ერთად ვაგინოთ...

**კუზი კოზმარია**

ჩემი ბილეთი:
001 გეტებორგი — მურატა
შედეგი: 50,5 და მეტი მხვრინავი მაყურებელი
საკარაუდო მოგება: სამი ბალიში ლარად
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ რატომ
დახურა ვარჯიში „დუდელანჟის“ მწვრთნელმა
„დომჟალესთან“ საპასუხო მატჩის წინ.

114140 *

# ჩელსურები



მიკაელ ესიენი

**მიკაელ ესიენი** კიდევ ხუთი წლით დარჩება „ჩელსიში“ და ჯიბეს 20 მილიონი გირვანქით გაისქელებს. კლუბი და ფეხბურთელი კონტრაქტის 2013 წლამდე გახანგრძლივებაზე მორიგდნენ. ესიენმა 18 თვის წინ გააფორმა „ჩელსისთან“ ხუთწლიანი ხელშეკრულება, ამჯერად კი განაახლა. ასე უპასუხა კლუბმა ჟოზე მაურინიუს „ინტერს“, რომელიც განელი ნახევარმცველის გადაბირებას ლამობდა. ფეხბურთელი კვირაში 80 ათას გირვანქას მიითვლის.

„ესიენი ახალი კონტრაქტით კმაყოფილია — თქვა განელის მავანმა მეგობარმა — „ინტერში“ მაურინიუს დანიშვნის დღიდან არავის ეეჭვებოდა, რომ მიკაელის წაყვანას მოისურვებდა. ახლა, ალბათ, თავს დაანებებს“.

განელი ფეხბურთელი „ჩელსიმ“ სამი წლის წინ „ლიონიდან“ 25 მილიონად შეიძინა და დაუღლელი ნახევარმცველი უმალ იქცა გუნდის ერთ-ერთ მთავარ კაცად. ჟოზე მაურინიუს ხელშიც და ავრაამ გრანტის მწვრთნელობის დროსაც ესიენი ძირითად შემადგენლობაში იყო.

განელამდე კონტრაქტი უეინ ბრიჯმა გაახანგრძლივა, გუშინ კი „არისტოკრატებმა“ ასევე ხუთი წლით პეტრ ჩეხიც დაიბევეს. მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო გოლკიპერმა „ჩელსიში“ 166 მატჩი ითამაშა და კარის მშრალად შენახვა 90 შეხვედრაში მოახერხა. ბუნებრივია, ასეთი მეკარის დატოვება დიდი საქმეა და კლუბთან თანამშრომლობის გახანგრძლივებით კმაყოფილი თავად ჩეხიცაა:

„ჩემთვის დიდი პატივია „ჩელსიში“ თამაში და კონტრაქტის გახანგრძლივებით ბედნიერი ვარ“.

ლუიშ ფელიპე სკოლარიმ უკვე ორი წამსვლელიც დაასახელა. ტალ ბენ ჰაიმი და ჟულიანუ ბელეტი ბრაზილიელ მწვრთნელს არ სჭირდება. 26 წლის ბენ ჰაიმი, სავარაუდოდ, „მანჩესტერ სიტიში“ გადავა, ბელეტი კი ესპანეთში დაბრუნებას აპირებს. ხოლო კლოდ მაკელელემ ახალი ნავთსაყუდელი უკვე მოძებნა: ვეტერანი ფრანგი კარიერას „პარი სენ-ჟერმენში“ გააგრძელებს.

ამასობაში კი „ჩელსიმ“ „რეალში“ ფაქსი აფრინა — რობინიოს ყიდვა უნდა. ბრაზილიელის აგენტმა ვაგნერ რიბერიუმ განაცხადა, რომ თვით „დიდ ფილს“ სურს რობინიოს გადაყვანა „ჩელსიში“ და კლუბებს შორის მოლაპარაკება ოფიციალურად დაიწყო. ლონდონელები 25 მილიონ გირვანქას იმეტებენ, „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა კი თქვა, რომ რობინიო გაცილებით მეტი ღირს. ვაჭრობა გრძელდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბრაუნის ტრაგედია

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** ფეხბურთელ უესლი ბრაუნს ექვს თვეში მეორე ტრაგედია დაატყდა თავს. თებერვალში მამა გარდაეცვალა, ორი დღის წინ კი 36 წლის ნახევარდა კლეირი. გოგო სამი თვის ფეხმძიმე იყო და გასულ კვირაში ორჯერ გახდა ცუდად. შაბათს საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ ვეღარ უშველეს. გაირკვა, რომ კლეირს გული აწუხებდა.

უესლი ბრაუნმა ხუთი წლის წინ გაიცნო ნახევარდა, რომლის შესახებაც მანამდე არაფერი იცოდა. ოჯახის მეგობარმა თქვა: „ერთმანეთს დაუახლოვდნენ და კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. კლეირი უბრალო გოგო იყო და თავისი ძმის ფეხბურთელობით სულაც არ მოჰქონდა თავი. მას უფრო ძმა უხაროდა, ვიდრე ის, რომ უესლი „მანჩესტერის“ ფეხბურთელი იყო“.

კლეირის სამი ბიჭი დარჩა: ერთი წლის, 12-ის და 16-ის, აგრეთვე თანატოლი მეუღლე ტომი.

**ვაჟა ხუციშვილი**

## რაფაელის კიდევ ერთი სეზონი

**ბუნდესლიგის** „ჰამბურგის“ ნახევარმცველ რაფაელ ვან დერ ვაარტის განცხადებით, ეს მისი უკანასკნელი სეზონი იქნება გერმანული კლუბის შემადგენლობაში.

„მზად ვარ, კიდევ ერთი სეზონი დავრჩე „ჰამბურგში“, თუმცა ჩემი ოცნების — ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბში თამაშის — ასრულებაც მსურს. ამას არასდროს ვმალავდი“ — განაცხადა ფეხბურთელმა.

ვან დერ ვაარტით დიდი ხნის განმავლობაში ტურინის „იუვენტუსი“ იყო დაინტერესებული, ამ ბოლო დროს კი მადრიდის „რეალმაც“ გამოთქვა მისი შეძენის სურვილი.

## დალესანდრო ბრაზილიაში

**ერთ დროს** არგენტინული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი ანდრეს დალესანდრო ესპანური „სარაგოსადან“ ბრაზილიურ „ინტერნასიონალში“ გადავა.

„ყველაფერი მოგვარებულია. შეთანხმება უკვე შედგა“ — თქვა ფეხბურთელის აგენტმა. 27 წლის არგენტინელი ბრაზილიაში უკვე გაფრინდა, სადაც კონტრაქტზე ხელს მოაწერს.

## მიულერის სახელობის სტადიონი

**ლეგენდარული** გერმანელი თავდამსხმელის გერდ მიულერის პატივსაცემად სტადიონს მისი სახელი უწოდეს. კლუბი „ნერდლინგენი“, რომლის შემადგენლობაშიც დაიწყო თავისი კარიერა მიულერმა, ამიერიდან „გერდ მიულერ შტადიონზე“ გამართავს შეხვედრებს.

პირველი მატჩი უკვე შედგა — „ნერდლინგენსა“ და მიუნხენის „ბაიერნს“ შორის, რომელიც მიუნხენელთა დიდი გამარჯვებით დასრულდა — 8:0.

## აგირე რიკელმეს შესახებ

**მადრიდის** „ატლეტიკოს“ მთავარმა მწვრთნელმა ხავიერ აგირემ გუნდში „ბოკა ხუნიორსის“ ნახევარმცველი ხუან რომან რიკელმეს გადმოსვლის პერსპექტივაზე ისაუბრა:

„ჯერჯერობით არ ვარ კარგად ინფორმირებული ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ იგი სწორედ იმ ტიპის მოთამაშეა, რომელსაც ჩვენ ვეძებთ. რიკელმე — ეს უფრო მეტია, ვიდრე მორიგი სახელი ჩვენს ინტერესში შემავალი მოთამამეების სიაში. კლუბის ხელმძღვანელობას ისეთ ფეხბურთელს ვთხოვდი, რომელსაც შეუძლია უკანასკნელი გადაცემის გაკეთება, თამაშის მსვლელობაზე გავლენის მოხდენა. სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტომდე ღიაა, ასე რომ, ჩვენ კიდევ გვაქვს დრო“ — განაცხადა კლუბის დამრიგებელმა.

## კოლუმბიელი კაფუ სიენაში

**როგორც** იტალიური პრესა იტყობინება, „კოლუმბიელ კაფუად“ წოდებული ხუან კამილო სუნიგა სერია A-ს „სიენას“ წევრი გახდა. სუნიგა „ატლეტიკო ნასიონალში“ გამოდიოდა და სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ უნიჭიერეს ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება. მასზე სხვა ევროპული გუნდების გარდა, არგენტინული „ბოკა ხუნიორსიც“ ნადირობდა.

**არჩილ კოგანიძე**

### ჩილე

**კლასუსურა. V ტური**

**კობრესალი 1:2 ა. იტალიანო**
**ოსორნო 2:4 უნივ. კათოლიკა**

### ბრაზილია

**სერია A. XII ტური**

**ატლ. მინეირო 3:2 კურიტიბა**
**ფლამენგო 0:1 ვიტორია**
**სან პაულუ 2:1 ბოტაფოგო**

### ამსანაგური მატჩები

**სპორტიგი (ლისაბონი) 1:3 სანდერლენდი**
**კოლუმბუსი 1:3 ვესტ ჰემი**
**პალერმო 9:0 ნოკბერგი**
**პარმა 7:0 ჯანბერტონე**
**უდინეზე 2:1 კორფუ**
**მას ფესი 1:0 შარლერუა**
**ოუდ ევერლე 0:3 ანდერლეხტი**
**ეტუალ დუ საჰელი 0:0 ნანტი**

# ბუფონს მამობაში მეკარეობა ეხმარება

**იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა თავის მეუღლე ალენა სერედოვასა და ვაჟ ლუის ტომასთან ერთად გატარებულ შვებულებაზე და სხვა ბევრ საინტერესო საკითხზე ისაუბრა. 30 წლის გოლკიპერმა, ვისაც გამორჩეული პიროვნული თვისებების გამო ყველა დიდ პატივს სცემს, ბრძანა, ტყუილის თქმა არ შემიძლიაო...**

ალენა სერედოვა და ჯიჯი ბუფონი

**— მამის რანგში ეს თქვენი პირველი არდადეგები იყო. როგორ დაისვენეთ კორსიკაზე, სარდინიასა და მორტირიოზე?**

— ვაჟის დაბადებამ ჩვენი ცხოვრების სტილი აბსოლუტურად შეცვალა. ახლა ყველაფერი ლუის ტომასის ინტერესებზეა მორგებული. როცა პატარა ხელში გვიჭირავს, მთელი სისრულით ვგრძნობთ, როგორი დაუცველია ჩვენი დახმარების გარეშე.

**— ბევრი მამაკაცი იბნევა და ნერვიულობს, როცა ახალშობილს ხელში აჭერინებენ. თქვენ ეს არ გეხებათ?**

— გინდათ თქვათ, რომ მის მშვიდად დაჭერაში მეკარის ოსტატობა მეხმარება? შესაძლოა. წარმოიდგინეთ, სიმშვიდეს მაშინაც ვინარჩუნებდით, როცა ჩემს ხელებში მყოფი ლუის ტომასი კატერიდან ცოტა გადაწეული იყო და ცდილობდა, წყალში ეთამაშა. სხვები ასეთ საქციელს ძალიან სარისკოდ ჩათვლიდნენ.

**— საოცარია, ალენამ როგორ მოგცათ ამის უფლება?**

— კანკალებდა, მაგრამ მაინც მენდობოდა.

**— ვაჟის დაბადების მერე თქვენი და ალენას ურთიერთობა შეიცვალა?**

— უფრო მეტად დავახლოვდით, ახლა ალენას უფრო მეტად ვცემ პატივს, როცა ვხედავ, როგორი მზრუნველი დედაა.

**— თქვენ თუ უმკლავდებით მამობრივ მოვალეობას?**

— ალენა მართლაც ძალიან მზრუნველი დედაა, სულ ბავშვზე ფიქრობს და ლაპარაკობს, მაგრამ ახლა, როცა ლუის ტომასს ძუძუთი აღარ კვებავს, მას უფრო მეტად მანდობს. არცთუ ცუდად გამომდის ვაჟისთვის რძის ან წყლის გაცხელება, მისი დაბანა და საფენების გამოცვლა. ლუის ტომასის ღიმილი მეტყველებს, რომ კარგად გამომდის.

**— თქვენი შვილი ჯერ მხოლოდ შვიდი თვისაა. მის მომავალ პროფესიაზე ხომ არ გიფიქრიათ?**

— კარგი იქნება, მამის გზას თუ გაჰყვება. სპორტი შესანიშნავი გზაა იმისთვის, რომ ბევრ ცდუნებას თავი აარიდო. ლუის ტომასი ჯანმრთელი ბავშვია და მშვენივრად იზრდება. რაც შეეხება სიმაღლეს, ყველა ნორმას უსწრებს. ეს გასაკვირი არც არის, რადგან დედამისის ბაბუა ორ მეტრზე მაღალი იყო, ხოლო ბებიაჩემი 1,85 სანტიმეტრია.

**— ახლა, როცა ემოციები განელდა, როგორ შეაფასებთ ევრო 2008-ზე იტალიის ნაკრების გამოსვლას?**

— დიდი იმედგაცრუების გრძნობა დამრჩა, უპირველესად იმიტომ, რომ ესპანეთი, რომელთანაც პენალტების სერიაში წავაგეთ, მერე ძალიან ადვილად გახდა ევროპის ჩემპიონი.

**— დღეს ისევ მოუბოდიშებდით ხალხს ჰოლანდიასთან წაგების გამო?**

— დიახ, მაშინ გულწრფელი ვიყავი. იტალია ბრაზილიას ასჯერ რომ შეხვდეს, ერთხელაც არ წავაგებთ 0:3-ს. საერთოდ, ასეთ მნიშვნელოვან ტურნირზე უფლება არ გვაქვს ამ ანგარიშით მარცხისა, ვინც უნდა იყოს მეტოქე.

**— თქვით, ეს უცუდესი ნაკრები იყო იტალიის ისტორიაშიო. ასეთმა მკაცრმა თვითკრიტიკამ მაშინდელი მწვრთნელი რობერტო დონადონი ხომ არ გაანაწყენა?**

— დონადონისთან ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს. მეორე დღესვე ყველაფერი გავარკვიეთ და პრობლემა არ ყოფილა. რობერტო პატიოსან ადამიანსა და თვალთმაქცს კარგად არჩევს ერთმანეთისგან. დონადონიმ იცის, რომ ძალიან თვითკრიტიკული ვარ, როცა შეცდომას ვუშვებ.

**— თქვენთვის ეს ადვილი სათქმელია — პრაქტიკულადად შეუცდომელი ხართ...**

— ტყუილია. გასულ სეზონში 32 გოლი გავუშვი და უნდა ვთქვა, რომ აქედან 20 შემთხვევაში მაინც შემეძლო გუნდის გადარჩენა.

**— ნაკრებს ფაბიო კანავარო დააკლდა?**

— მას ტრავმა რომ არ მიეღო და მინდორზე ყოფილიყო, ჰოლანდიასთან ასე სამარცხვინოდ არ წავაგებდით. იგი ქარიზმატული ფიგურაა — ფაბიო კაპიტანია. კანავარო ნაკრებს წინ გაუძღვებოდა როგორც სიტყვით, ასევე თავისი თამაშით.

**— დონადონი მოგენატრებათ?**

— ყველამ კარგად იცის, თუ როგორი ახლო და თბილი ურთიერთობა მაქვს მარჩელო ლიპისთან. თუმცა დონადონიმ სასიამოვნოდ გამაკვირვა, როგორც პროფესიონალმა და როგორც ადამიანმა.

**— ევროპის ჩემპიონატიდან გამოვარდნის შემდეგ, რა უთხარით დონადონის?**

— ტყუილის თქმა არც ვიცი და არც შემიძლია. მისი მოხსნის შესახებ საყოველთაო მითქმა-მოთქმა იყო. მე კი უბრალოდ ვუთხარი: „იმედია, კიდევ შევხვდებით“.

**— უკვე ესაუბრეთ ნაკრების ძველ-ახალ მწვრთნელს?**

— დიახ, შვებულების დროს ერთმანეთს შევხვდით. მან სანაპიროზე კარგი ადგილები მაჩვენა. ლიპი, როგორც ყოველთვის, კარგად და ენერგიულად გამოიყურებოდა. თუმცა ეს შეხვედრა მისთვის არცთუ სასიამოვნო გამოდგა, რადგან ლუის ტომასმა მარჩელო გემოზე დაკაწრა.

**— ამბობენ, გაცხელებული სუპი უგემურიაო...**

— მე მჯერა ლიპის. მას გაცხელებული სუპიც რომ დავარქვათ, კარგი სუპი იქნება.

**— ფრანჩესკო ტოტის ნაკრებში დაბრუნება შესაძლებელია?**

— გამიხარდება, თუ ეს მოხდება. ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ ტოტი და, რაც მთავარია, თავად ლიპი კმაყოფილია.

**— ევრო 2008-ზე თქვენს საუკეთესო „სეივად“ რომელს მიიჩნევთ — ადრიან მუტუს პენალტის აღებას თუ ქარიმ ბენზემას გაწბილებას?**

— მაინც ამ უკანასკნელს. საერთოდ, იშვიათად ვათვითცნობიერებ, რთული ბურთი მოვიგერიე თუ იოლი, ამას სხვების რეაქციით ვიგებ. თუმცა ბენზემას შემთხვევაში თავადაც მივხვდი, რომ არცთუ იოლი ბურთი ავიღე.

**— თუმცა მუტუსთვის პენალტი რომ არ აგელოთ, იტალია ჯგუფში ჩარჩებოდა...**

— იღბალი დამეხმარა, თუმცა სათამაშო კლასმაც თავისი გააკეთა. ფეხი ხომ გავწიე და სწორედ ამის წყალობით არ გავიდა გოლი.

**— მალე ახალი სეზონი იწყება. თქვენი აზრით, სკუდეტოსთვის ბრძოლაში ფავორიტი ვინ არის?**

— ვფიქრობ, „მილანი“. ჩემპიონთა ლიგაში რომ არ თამაშობს, ეს „როსონერის“ დიდ უპირატესობას აძლევს. რაც შეეხება „ინტერს“, ჯერ კიდევ გასარკვევია, როგორი ეფექტი ექნება „ნერაძურიაში“ ყოზე მაურინიუს მისვლას.

**— მაურინიუ არ მოგწონთ?**

— პირქით, მომწონს ხალხი, რომელსაც ჩამოყალიბებული აზრები აქვს და არ აშინებს მათი გამოაშკარავება. მაურინიუს ეჭვები არ აწუხებს, მან ყოველთვის იცის, რა უნდა. შესაძლოა, ეს მხოლოდ ნიღაბია. თუმცა პორტუგალიელი სპეციალისტი მე ნამდვილი და ბუნებრივი მგონია.

**— „იუვენტუსის“ შანსებს როგორ აფასებთ?**

— გასულ სეზონში სერია B-დან ახალდაბრუნებულები ვიყავით და ძალიან გვინდოდა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა. მომავალ სეზონში კი ამგვარი დამატებითი მოტივაცია არ გვექნება. სტიმულის მომცემი სხვა მიზეზი უნდა ვიპოვოთ.

**— კლუბის ახალწვეული ამაური ხალხს შეპირდა, ზლატან იბრაჰიმოვიჩს დავჩრდილავო. ეს შესაძლებელია?**

— ბევრს ენდომება „იბრას“ დარად თამაში. ვფიქრობ, ამაური საკმაოდ ნიჭიერია და გამოგვადგება. თანაც, ზლატანისგან განსხვავებით, იგი ძალიან კარგად საუბრობს იტალიურად, რაც ადაპტაციის პერიოდს ერთიორად გაუიოლებს.

**— კრისტიან პოულსენის ტრანსფერზე რას იტყვით? ქომაგები ძალიან უკმაყოფილონი არიან და ბევრი მას ჩავარდნას უწინასწარმეტყველებს.**

— შესაძლოა, პოულსენი ისეთივე ტალანტი არ არის, როგორიც ამაური, მაგრამ ისეთი მოთამაშეები, როგორიც კრისტიანია, საჭირონი არიან ბრძოლისუნარიანი გუნდის შესაქმნელად.

**— რა კომენტარს გაუკეთებდით ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის სიტყვებს კრიშტიანუ რონალდუს შესახებ? მან პორტუგალიელს „მონა“ უწოდა.**

— უბრალოდ, ეს არშემდგარი ხუმრობა ან ცუდად გადმოცემული მოსაზრებაა, რომლის გარშემოც პრესამ დიდი ისტორია ააგო. მსგავსი რამ ხშირად ხდება.

ალენა და ლუის ტომასი

# სარბიელი: კრიკეტი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 22:30 | 20 | შტურმი-მატერსბურგი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 21:45 | 61 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 21:45 | 62 | ბელინცონა-ჭსამაქსი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 21:45 | 63 | ციურიხი-ლუცერნი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 21:45 | 64 | სიონი-იანგ ბოიზი | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| 21:45 | 65 | ვადუცი-აარაუ | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| | | რუხეთი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 19:00 | 22 | სატურნი-შინიკი | 1.60 | 3.40 | 5.70 | 1.08 | 1.24 | 2.12 |
| 19:00 | 78 | ზენიტი-ლოკომოტივი | 1.75 | 3.30 | 4.60 | 1.14 | 1.26 | 1.92 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 212 | ვეილე-ოდენსე | 4.00 | 3.40 | 1.80 | 1.83 | 1.24 | 1.17 |
| | | უეფა. ნემბეონთა ლიგა | | | | | | |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 19:30 | 1 | რაბოტნიკი-ინტერი ბაქო | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 19:00 | 2 | ვენტსპილსი-ლანელი | 1.35 | 4.30 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.66 |
| 20:30 | 4 | კაუნასი-სანტა კოლომა | 1.05 | 9.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 6.20 |
| 21:00 | 6 | შერიფი ტირასპოლი-აკტობე | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 17:30 | 7 | პიუნიკი-ანორთოსიისი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 19:30 | 8 | ლევადია-დროგედა | 1.90 | 3.30 | 3.55 | 1.20 | 1.23 | 1.71 |
| 22:00 | 9 | ბუდუნნოსტი-ტამპერე | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 22:00 | 10 | მოდრიცა-დინამო ტირ | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 22:00 | 11 | გიოტებორგი-მურატა | 1.03 | 9.00 | 28.00 | 1.00 | 1.00 | 6.81 |
| 22:15 | 13 | ჰეტრჯალკა-ვალეტა | 1.07 | 7.50 | 16.00 | 1.00 | 1.00 | 5.10 |
| 22:45 | 15 | დინამო ზაგ-ლინფილდი | 1.07 | 7.50 | 16.00 | 1.00 | 1.00 | 5.10 |
| 22:45 | 17 | დიმჟალე-დუდელანჟი | 1.10 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.77 |
| 23:15 | 19 | ვალური-ბატე | 2.45 | 3.30 | 2.45 | 1.40 | 1.22 | 1.40 |
| | | უეფა. ევროპის ნემბეონატი 19 | | | | | | |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 22:15 | 213 | ჩეხეთი19-გერმანია19 | 3.30 | 3.20 | 2.05 | 1.62 | 1.26 | 1.24 |
| 19:30 | 214 | იტალია19-უნგრეთი19 | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| | | გერმანია. სუპერ თასი | | | | | | |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 22:30 | 21 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3.50 | 3.20 | 2.00 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| | | ნორვეგია. თასი | | | | | | |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 23 | მოლდე-ბრანი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 24 | ტრომსიო-ვოლერენგა | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | რაბოტნიკი-ინტერი ბაქო | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10002 | ვენტსპილსი-ლანელი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10006 | შერიფი ტირასპოლი-აკტობე | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10007 | პიუნიკი-ანორთოსიისი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10008 | ლევადია-დროგედა | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10009 | ბუდუნნოსტი-ტამპერე | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10010 | მოდრიცა-დინამო ტირ | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10019 | ვალური-ბატე | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10020 | შტურმი-მატერსბურგი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10021 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3.90 | 2.00 | 2.25 | 1.32 | 1.42 | 1.05 |
| 10022 | სატურნი-შინიკი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10023 | მოლდე-ბრანი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10061 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10062 | ბელინცონა-ჭსამაქსი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10063 | ციურიხი-ლუცერნი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10078 | ზენიტი-ლოკომოტივი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10212 | ვეილე-ოდენსე | 4.40 | 2.00 | 2.20 | 1.37 | 1.46 | 1.04 |
| 10213 | ჩეხეთი19-გერმანია19 | 3.70 | 2.00 | 2.40 | 1.29 | 1.45 | 1.09 |
| 10214 | იტალია19-უნგრეთი19 | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10024 | ტრომსიო-ვოლერენგა | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10064 | სიონი-იანგ ბოიზი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10065 | ვადუცი-აარაუ | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | რაბოტნიკი-ინტერი ბაქო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11002 | ვენტსპილსი-ლანელი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11006 | შერიფი ტირასპოლი-აკტობე | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11007 | პიუნიკი-ანორთოსიისი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11008 | ლევადია-დროგედა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11009 | ბუდუნნოსტი-ტამპერე | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11010 | მოდრიცა-დინამო ტირ | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11019 | ვალური-ბატე | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11020 | შტურმი-მატერსბურგი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11021 | დორტმუნდი-ბაიერნი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11022 | სატურნი-შინიკი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11023 | მოლდე-ბრანი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11061 | ბაზელი-გრასჰოპერი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11062 | ბელინცონა-ჭსამაქსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11063 | ციურიხი-ლუცერნი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11078 | ზენიტი-ლოკომოტივი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11212 | ვეილე-ოდენსე | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11213 | ჩეხეთი19-გერმანია19 | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11214 | იტალია19-უნგრეთი19 | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11024 | ტრომსიო-ვოლერენგა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11064 | სიონი-იანგ ბოიზი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11065 | ვადუცი-აარაუ | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
## (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | რაბოტნიკი-ინტერი ბაქო | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ვენტსპილსი-ლანელი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | შერიფი ტირასპოლი-აკტობე | 1.85 | 1.95 |
| 17007 | პიუნიკი-ანორთოსიისი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ლევადია-დროგედა | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ბუდუნნოსტი-ტამპერე | 1.85 | 1.95 |
| 17010 | მოდრიცა-დინამო ტირ | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ვალური-ბატე | 1.85 | 1.95 |
| 17020 | შტურმი-მატერსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17021 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17022 | სატურნი-შინიკი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | მოლდე-ბრანი | 1.85 | 1.95 |
| 17061 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1.85 | 1.95 |
| 17062 | ბელინცონა-ჭსამაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17063 | ციურიხი-ლუცერნი | 1.85 | 1.95 |
| 17078 | ზენიტი-ლოკომოტივი | 1.85 | 1.95 |
| 17212 | ვეილე-ოდენსე | 1.85 | 1.95 |
| 17213 | ჩეხეთი19-გერმანია19 | 1.85 | 1.95 |
| 17214 | იტალია19-უნგრეთი19 | 1.85 | 1.95 |
| 17024 | ტრომსიო-ვოლერენგა | 1.85 | 1.95 |
| 17064 | სიონი-იანგ ბოიზი | 1.85 | 1.95 |
| 17065 | ვადუცი-აარაუ | 1.85 | 1.95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | რაბოტნიკი-ინტერი ბაქო | 1.65 | 2.30 |
| 14002 | ვენტსპილსი-ლანელი | 1.20 | 2.60 |
| 14006 | შერიფი ტირასპოლი-აკტობე | 1.30 | 2.50 |
| 14007 | პიუნიკი-ანორთოსიისი | 2.10 | 1.75 |
| 14008 | ლევადია-დროგედა | 1.70 | 2.20 |
| 14009 | ბუდუნნოსტი-ტამპერე | 1.45 | 2.40 |
| 14010 | მოდრიცა-დინამო ტირ | 1.30 | 2.50 |
| 14019 | ვალური-ბატე | 1.85 | 1.95 |
| 14020 | შტურმი-მატერსბურგი | 1.45 | 2.40 |
| 14021 | დორტმუნდი-ბაიერნი | 2.20 | 1.70 |
| 14022 | სატურნი-შინიკი | 1.30 | 2.50 |
| 14023 | მოლდე-ბრანი | 1.85 | 1.95 |
| 14061 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1.30 | 2.50 |
| 14062 | ბელინცონა-ჭსამაქსი | 1.80 | 2.00 |
| 14063 | ციურიხი-ლუცერნი | 1.20 | 2.60 |
| 14078 | ზენიტი-ლოკომოტივი | 1.45 | 2.40 |
| 14212 | ვეილე-ოდენსე | 2.30 | 1.65 |
| 14213 | ჩეხეთი19-გერმანია19 | 2.10 | 1.75 |
| 14214 | იტალია19-უნგრეთი19 | 1.65 | 2.30 |
| 14024 | ტრომსიო-ვოლერენგა | 1.80 | 2.00 |
| 14064 | სიონი-იანგ ბოიზი | 1.95 | 1.85 |
| 14065 | ვადუცი-აარაუ | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | რაბოტნიკი-ინტერი ბაქო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ვენტსპილსი-ლანელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | შერიფი ტირასპოლი-აკტობე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | პიუნიკი-ანორთოსიისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ლევადია-დროგედა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ბუდუნნოსტი-ტამპერე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | მოდრიცა-დინამო ტირ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | ვალური-ბატე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | შტურმი-მატერსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15022 | სატურნი-შინიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | მოლდე-ბრანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15061 | ბაზელი-გრასჰოპერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15062 | ბელინცონა-ჭსამაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15063 | ციურიხი-ლუცერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15078 | ზენიტი-ლოკომოტივი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | ვეილე-ოდენსე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15213 | ჩეხეთი19-გერმანია19 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15214 | იტალია19-უნგრეთი19 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | ტრომსიო-ვოლერენგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15064 | სიონი-იანგ ბოიზი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15065 | ვადუცი-აარაუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | რაბოტნიკი-ინტერი ბაქო | 1.32 | 3.00 |
| 16002 | ვენტსპილსი-ლანელი | 1.10 | 5.50 |
| 16006 | შერიფი ტირასპოლი-აკტობე | 1.17 | 4.10 |
| 16007 | პიუნიკი-ანორთოსიისი | 2.10 | 1.60 |
| 16008 | ლევადია-დროგედა | 1.34 | 2.80 |
| 16009 | ბუდუნნოსტი-ტამპერე | 1.25 | 3.40 |
| 16010 | მოდრიცა-დინამო ტირ | 1.17 | 4.10 |
| 16019 | ვალური-ბატე | 1.75 | 1.85 |
| 16020 | შტურმი-მატერსბურგი | 1.25 | 3.40 |
| 16021 | დორტმუნდი-ბაიერნი | 2.40 | 1.45 |
| 16022 | სატურნი-შინიკი | 1.22 | 3.40 |
| 16023 | მოლდე-ბრანი | 1.70 | 1.95 |
| 16061 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1.14 | 4.70 |
| 16062 | ბელინცონა-ჭსამაქსი | 1.62 | 2.05 |
| 16063 | ციურიხი-ლუცერნი | 1.12 | 4.60 |
| 16078 | ზენიტი-ლოკომოტივი | 1.25 | 3.40 |
| 16212 | ვეილე-ოდენსე | 2.90 | 1.32 |
| 16213 | ჩეხეთი19-გერმანია19 | 2.30 | 1.48 |
| 16214 | იტალია19-უნგრეთი19 | 1.32 | 3.00 |
| 16024 | ტრომსიო-ვოლერენგა | 1.55 | 2.20 |
| 16064 | სიონი-იანგ ბოიზი | 1.95 | 1.65 |
| 16065 | ვადუცი-აარაუ | 1.70 | 1.95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
## (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12002 | ვენტსპილსი-ლანელი 2,5 | 1.70 | 1.80 |
| 12006 | შერიფი ტირასპოლი-აკტობე 2,5 | 1.80 | 1.90 |
| 12008 | ლევადია-დროგედა 2,5 | 1.60 | 2.00 |
| 12009 | ბუდუნნოსტი-ტამპერე 2,5 | 1.70 | 1.80 |
| 12010 | მოდრიცა-დინამო ტირ 2,5 | 1.80 | 1.80 |
| 12019 | ვალური-ბატე 2,5 | 1.70 | 1.90 |
| 12020 | შტურმი-მატერსბურგი 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12021 | დორტმუნდი-ბაიერნი 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12022 | სატურნი-შინიკი 2,5 | 1.70 | 1.90 |
| 12023 | მოლდე-ბრანი 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12061 | ბაზელი-გრასჰოპერი 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12062 | ბელინცონა-ჭსამაქსი 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12063 | ციურიხი-ლუცერნი 2,5 | 2.20 | 1.50 |
| 12078 | ზენიტი-ლოკომოტივი 2,5 | 1.70 | 1.90 |
| 12213 | ჩეხეთი19-გერმანია19 2,5 | 1.70 | 1.90 |
| 12214 | იტალია19-უნგრეთი19 2,5 | 1.70 | 1.90 |
| 12024 | ტრომსიო-ვოლერენგა 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12064 | სიონი-იანგ ბოიზი 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12065 | ვადუცი-აარაუ 2,5 | 2.00 | 1.60 |

ლევან ახვლედიანი

ზურაბ ფოლადაშვილის ფოტო

დავით ნამგალაური

ბადრი კუბილაძის ფოტო

# ახდენილი ოცნება

## ერთს ფიქრობდნენ, ორი გამოვიდა

**საფრანგეთის** ზღვისპირა ქალაქ მარსელში გამართულ პლაჟ ფრენბურთელთა სალიცენზიო ტურნირზე საქართველოს სახელით მრთამაშე ბრაზილიელმა გოგონებმა საქა და რთველომ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვეს. კაცთა წყვილის გეორ-გიას მსგავსად, ისინი პირველები არიან, მათ შორის, ვინც საქართველოს ღირსებას გუნდურ სახეობაში დაიცავენ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე. ამ ამბავთან დაკავშირებით გუშინვე სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა, ჟურნალისტებს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი და სპორტის დეპარტამენტის თავჯდომარე დავით ნამგალაური ესაუბრნენ.

*ლევან ახვლედიანი:* როდესაც გადავწყვიტეთ, რომ საქართველოს სახელით ბრაზილიელი ფრენბურთელები გამოგვეყვანა, ვერც კი ვიოცნებებდით იმაზე, რომ ჩვენი სპორტსმენები ლიცენზიის მოპოვებას შეძლებდნენ. ძალიან ძნელია სათამაშო სახეობაში ლიცენზიის აღება ჩვენნაირი პატარა ქვეყნებისათვის. ფრენბურთის ფედერაციის იდეას ბრაზილიელების საქართველოს სახელით გამოსვლაზე თავიდან ბევრი სკეპტიკოსი გამოუჩნდა და ჟურნალისტებიც ეჭვის თვალით უყურებდნენ ამ ამბავს. თუმც ორივე წყვილმა თავგამოდებით იბრძოლა მიზნის მისაღწევად და ლიცენზიაც დაისაკუთრა. ბიჭები ამისთვის სამი წელი თამაშობდნენ, ოღონდ სალიცენზიო ქულების დაგროვების საშუალება 2007 წლის მაისიდან მიეცათ. გოგონებს კიდევ უფრო ცოტა დრო ჰქონდათ მათ ყველაფერი წელიწად-ნახევრის წინ დაიწყეს. ისიც სათქმელია, რომ საზღვარგარეთ წყვილები ერთად 3-4 წელი ემზადებიან, ჩვენ ფრენბურთელებს კი გაცილებით ნაკლები დრო ჰქონდათ. ისეთი ძლიერი ქვეყანა, როგორიც შვეიცარიაა, პეკინში ქალთა წყვილს ვერ წაიყვანს. არავის ეგონოს, რომ ოლიმპიადაზე მხოლოდ მონაწილეობის მისაღებად მივდივართ. ქალებში სერიოზულ მიზნებს ვერ დავისახავთ. აქ, ჩემი აზრით, გამოკვეთილი ფავორიტები ამერიკელები არიან, რომელთაც წინა ოლიმპიადა და ბოლო სამი მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს. კაცებში ამ თვალსაზრისით განსხვავებული ვითარებაა. საერთო დონე საგრძნობლად გათანაბრდა და იმ 10-12 წყვილს შორის, ვინც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, ჩვენი ბიჭებიც მოიაზრებიან. ბევრი რამ კენჭისყრაზე იქნება დამოკიდებული, მნიშვნელოვანია, თუ როგორ ბადეში მოხვდებიან ჩვენები. მე-4 კალათში კი არიან, მაგრამ მათთან შეხვედრა არავის სურს. კენჭისყრა 26 ივლისს შვეიცარიაში თბილისის დროით ათის ნახევარზე ჩატარდება და მერე უფრო ადვილი იქნება პროგნოზების გაკეთება. ისე კი, პლაჟის ფრენბურთი საკმაოდ სპეციფიკური სპორტის სახეობაა და გამორიცხულიც არაფერია. დარწმუნებული ვარ, რომ ორივე წყვილი ბოლომდე დაიხარჯება პეკინში.

*დავით ნამგალაური:* ის მიზანი, რაც ფრენბურთის ფედერაციამ თავიდან დაისახა, მიღწეულია და ამისთვის დიდი მადლობა მათ. მართლაც კარგად იმუშავეს და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ საქართველოს პეკინში სათამაშო სახეობაშიც ჰყოლოდა წარმომადგენლები. საჭიროა, მოხდეს ამ სპორტის პოპულარიზაცია, რადგან საქართველოში ჯერ სათანადოდ ცნობადი სახეობა არ არის. ამისთვის კი ეს გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო. რაგბის მაგალითზე ვთქვათ: მორაგბეებს წარმატებები აქვთ და დღეს საქართველოში რაგბი ბევრად უფრო პოპულარული გახდა. ჩვენ ბიჭების წყვილის დიდი იმედი გვაქვს, ისინი მსოფლიოს ოცეულში არიან რეიტინგით და საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. იმედი მაქვს, საზოგადოებრივი მაუწყებელი საშუალებას მოგვცემს, მათ თამაშებს თვალი ვადევნოთ და ვუგულშემატკივროთ.

**ლეჭსო მაისურაძე**

## ოლიმპიური ლიცენზიანტები მსოფლიოს რეიტინგის მიხედვით

**ქაცები**

| | |
|---|---|
| 1. როჯერსი — დალჰაუზერი (აშშ) | 5 780 |
| 2. რიკარდო — ემანუელი (ბრაზილია) | 5 500 |
| 3. მარსიო — ფაბიო (ბრაზილია) | 4 860 |
| 4. ნუმერდორი — შული (ჰოლანდია) | 4 680 |
| 5. ხუ — ვუ (ჩინეთი) | 4 600 |
| 6. ბრინკი — დეკერმანი (გერმანია) | 4 560 |
| 7. ბარსუკი — კოლოდინსკი (რუსეთი) | 4 460 |
| 8. კლემპერერი — კორენგი (გერმანია) | 4 360 |
| 9. გიბი — როზენტალი (აშშ) | 3 540 |
| 10. შახტი — სლაკი (ავსტრია) | 3 400 |
| 11. ერერა — მესა (ესპანეთი) | 3 360 |
| 12. ეიერი — ხუშერი (შვეიცარია) | 3 260 |
| 13. კონდე — ბარასეტი (არგენტინა) | 3 260 |
| 14. კაისი — ვესიკი (ესტონეთი) | 3 170 |
| 15. დოპლერი — გარტმაიერი (ავსტრალია) | 3 060 |
| 16. ბოერსმა — რონე (ჰოლანდია) | 3 000 |
| 17. გეორ — გია (საქართველო) | 2 720 |
| 18. კემპერუ — სკარლუნდი (ნორვეგია) | 2 620 |
| 19. გოში — ჰორსტი (ავსტრალია) | 2 360 |
| 20. ლასიგა — შნაიდერი (შვეიცარია) | 2 290 |
| 21. სამოილოვსი — პლავნისი (ლატვია) | 2 260 |
| 22. ლიომე — ვარნიერი (იტალია) | 2 060 |
| 23. ასახი — შირატორი (იაპონია) | 1980 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| 1. ველში — ტრენორი (აშშ) | 6 440 |
| 2. ტიან ჟი — ვონგი (ჩინეთი) | 5 500 |
| 3. ჯულიანა — ლარისა (ბრაზილია) | 5 280 |
| 4. ხუ — ჩანგხი (ჩინეთი) | 4 700 |
| 5. ბრანა — იანგი (აშშ) | 4 540 |
| 6. ტალიტა — რენატა (ბრაზილია) | 4 400 |
| 7. კარანტასიუ — არვანიტი (საბერძნეთი) | 3 840 |
| 8. გოლერი — ლუდვიგი (გერმანია) | 3 760 |
| 9. პოლი — რაუ (გერმანია) | 3 700 |
| 10. ბარნეტი — კუკი (ავსტრალია) | 3 460 |
| 11. ჰაკედალი — ტორიენი (ნორვეგია) | 3 070 |
| 12. მასეიდე — გლასნესი (ნორვეგია) | 2 7600 |
| 13. გრასე — პერასა (კუბა) | 2 620 |
| 14. ს. შვაიგერი — გ. შვაიგერი (ავსტრია) | 2 360 |
| 15. ვან ბრეიდამი — მოუჰა (ბელგია) | 2 290 |
| 16. რიბალტა — კრესპო (კუბა) | 2 280 |
| 17. კუტრუმანიდუ — ციარციანი (საბერძნეთი) | 2 160 |
| 18. ურიადოვა — შირიაევა (რუსეთი) | 2 090 |
| 19. კადიკი — მურენი (ჰოლანდია) | 2040 |
| 20. მონტანოლი — სვობბოდა (ავსტრია) | 1880 |
| 21. კანდელასი — გარსია (მექსიკა) | 1760 |
| 22. საიკი — კასუჰარა (იაპონია) | 1700 |
| 23. საქა — რთველო (საქართველო) | 1680 |



# სამხრეთ აფრიკა მყარად დგას

**21 ივლისს** IRB-იმ (რაგბის საერთაშორისო საბჭო) ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც სამხრეთულ სამ ერზე ჩატარებული თამაშის შედეგიდან გამომდინარე ცვლილებები არ მომხდარა.

ახალი ზელანდიის დამარცხების შემდეგ პირველ ადგილზე გადავიდა სამხრეთ აფრიკა და გასულ კვირას ავსტრალიასთან წაგებულმა მატჩმაც კი ვერ ჩამოაგდო დაბლა.

საქართველოს ნაკრები ისევ მე-14 პოზიციაზეა. ჩვენები რეიტინგში ერთა თასის ყველა მეტოქეს უსწრებენ. აღსანიშნავია გერმანელთა 25-ე ადგილზე ამოსვლა. როგორც ეტყობა, ერთა თასზე საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქემ სათამაშო კლასი საგრძნობლად გააუმჯობესა.

**ზურაბ მიგრიაული**



**IRB-ს რეიტინგი**

| | | |
|---|---|---|
| 1(1) | სამხრეთ აფრიკა | 90.01 |
| 2(2) | ახალი ზელანდია | 89.23 |
| 3(3) | ავსტრალია | 86.17 |
| 4(4) | არგენტინა | 83.42 |
| 5(5) | ინგლისი | 83:16 |
| 6(6) | უელსი | 80.12 |
| 7(7) | საფრანგეთი | 78.99 |
| 8(8) | ირლანდია | 77.18 |
| 9(9) | შოტლანდია | 76.92 |
| 10(10) | იტალია | 75.57 |
| 11(11) | ფიჯი | 75.24 |
| 12(12) | სამოა | 72.57 |
| 13(13) | ტონგა | 70.ᲑᲐ |
| 14(14) | საქართველო | 69.43 |
| 15(15) | კანადა | 68.81 |
| 16(16) | იაპონია | 67.35 |
| 17(17) | რუმინეთი | 67.20 |
| 18(18) | რუსეთი | 63.94 |
| 19(19) | ურუგვაი | 63.69 |
| 20(20) | აშშ | 63.11 |
| 21(21) | ესპანეთი | 61.55 |
| 22(22) | კორეა | 59.02 |
| 23(23) | პორტუგალია | 58.88 |
| 24(24) | ჩილე | 57.07 |
| 25(25) | გერმანია | 57.05 |

# ევროპას საქართველო მოგებით ხვდება

დავით უსტიაშვილი

**იტალიაში** დასრულდა ოთხგუნდა საერთაშორისო ტურნირი, რომელზეც საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმაც ითამაშა.

ეს ტურნირი დავით უსტიაშვილის შეგირდებმა 1 აგვისტოს რიგაში დასაწყებ ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოიყენეს. იტალიაში ქართველმა 20-წლამდელებმა ჯერ მასპინძლებთან წააგეს 55:64, მერე კი საბერძნეთთან 75:82 დამარცხდნენ.

ტურნირის ბოლო მატჩში დავით უსტიაშვილის გუნდმა ჩვენსავით მოუგებელ სლოვენიას 76:65 მოერია და მესამე ადგილი დაიკავა. მოსათელი ტურნირი კი იტალიამ მოიგო, რომელმაც საბერძნეთი 81:73 დაამარცხა.

იტალიიდან საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები რიგაში ჩაფრინდება. ევროპის ჩემპიონატზე ჩვენები ჯგუფში იტალიის, თურქეთისა და ისრაელის ნაკრებებთან მოხვდნენ.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქსანა კალაშნიკოვა


სოფო შაფათავა

# შაფათავა მეტოქეს და კალაშნიკოვას ელის

**მაკა ჩახნაშვილი** ლუქსემბურგის ქალაქ პეტანჟში ROLLER OPEN 2008-ის ძირითად ბადეში ითამაშებს. ერთ დროს ნომერ პირველი ქართველი ჩოგბურთელის პირველი მეტოქის ვინაობა საკვალიფიკაციო ეტაპის დასრულების შემდეგ გაირკვევა. ტურნირის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია, ჩემპიონი კი 11 160 დოლარს და ჩემპიონ ქალთა საჩოგბურთო ასოციაციისგან 55 ქულას მიიღებს.

მეორე ქართველი სოფო შაფათავა ხარკოვში ითამაშებს. ტურნირი 25 ათას დოლარიანია. ჩვენებური ძირითად ბადეში მე-7 ნომრადაა განთესილი და კვალიფიკაციის დასრულებას ელის, რომ თავისი მეტოქის ვინაობა გაირკვეს.

სანამ შაფათავა მეტოქეს ელის, იქამდე ხარკოვშივე კარგად ჩოგნაობს ოქსანა კალაშნიკოვა, ვინც ტურნირი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო.

ახალგაზრდა ქართველმა ჩოგბურთელმა კვალიფიკაციის პირველ წრეში მასპინძელ ლიუდმილა კიჩენკოს ორ სეტში დააშვებინა ჩოგანი. ჩვენიანმა უკრაინელს 7:5, 6:3 მოუგო და მეორე წრეში ჩაროზად ბელარუსი იულია არტიომოვა დააყოლა. კალაშნიკოვამ არტიომოვა იოლად 6:3, 6:3 დაამარცხა და ახლა ერთი მოგებაღა აკლია ძირითად ბადეში მოსახვედრად.

აქვე ვთქვათ, რომ სოფო შაფათავაც და ოქსანა კალაშნიკოვაც წყვილებშიც ითამაშებენ. შაფათავა რუს ანია ჟარკოვას შეუწყვილდა, ხოლო კალაშნიკოვას მეწყვილე რუმინელი ბუჟარნესკუ იქნება.

**ლეჭსო მაისურაძე**



# ცაგურიამ და გორგაძემ როლები გაცვალეს

## კოკაი იგებს ტოჩინოშინი აგებს

**ნაგოიას** ბაშოზე კოკაით წოდებულმა ლევან ცაგურიამ მე-4 გამარჯვება იზეიმა. „შავმა ზღვამ" მაისის ბაშოს მე-9 შეხვედრაში ხატაკიკომით დასცა აღმოსავლეთის მე-14 მაეგაშირა, ხუთი შერკინების მომგები ტოსანოუმი.

მიუხედავად ამ გამარჯვებისა, კოკაის საქმეებს კარგი პირი არ უჩანს. მას დადებითი ბალანსის, ანუ კატიკოსის მოპოვებამდე კიდევ ოთხი გამარჯვება უკლია, რისი მიღწევაც დარჩენილ ექვს შეხვედრაში ნამდვილად ძნელი იქნება. ცაგურია მომდევნო შეხვედრას დასავლეთის მე-7 მაეგაშირა კაკურიუსთან ატარებს.

მეორე ქართველმა პროფესიონალმა სუმოისტმა, ტოჩინოშინად წოდებულმა ლევან გორგაძემ კი ოსიდასით წააგო დასავლეთის მე-13 მაეგაშირა ტოიოხიბიკისთან. ტოჩინოშინი კოკაიზე კარგ სიტუაციაშია, ვინაიდან მის ანგარიშზე ხუთი მოგებული შერკინებაა და დარჩენილ ბრძოლებში კიდევ სამის მონაგრება არ განეკუთვნება ფანტასტიკის სფეროს. მორიგ მატჩს გორგაძე დასავლეთის მე-9 მაეგაშირა იბაკიამასთან გამართავს.

მაისის ბაშოზე დაუმარცხებლად ჭიდაობს მონღოლი იოკოძუნა ხაკუხო. მისი მსჯვერპლი ამჯერად აღმოსავლეთის მე-4 მაეგაშირა ბაკანოსატო გახდა. მე-10 ბრძოლას ხაკუხო სეკივაკე კოტოსეგიკუსთან გადაიხდის.

მე-6 დღის შემდეგ ტურნირს ტრავმის გამო გამოეთიშა დიდი ჩემპიონი იოკოძუნა ასასიორიუ. ნაგოიაში მის ანგარიშზე მხოლოდ სამი მოგებული ორთაბრძოლაა.

**ზურაბ მიგრიაული**

კოკაის და ტოსანოუმის ბრძოლა

**თბილისი. კოკა-კოლას თასი. კაცები. საპრიზო 15 000 დოლარი**

# ბუჩუკურზე კოკა-კოლა ალალია

ბექა ბუჩუკური

„კოკა-კოლას" თასის გათამაშებაში თავიდან ათი ქართველი ჩოგბურთელი თამაშობდა. ამათგან ექვსი ნოდარ კორზაიძე, ლაშა გულიაშვილი, გიორგი რევაზიშვილი, სერგო სიხარულიძე, დემეტრე თაქთაქიშვილი და ბექა ბუჩუკური საკვალიფიკაციო ეტაპიდან ცდილობდნენ ძირითად ბადეში შეღწევას. თუმც ექვსეულიდან მხოლოდ ერთმა ბექა ბუჩუკურმა ივარგა.

ბუჩუკურმა კვალიფიკაციის ორივე მატჩი მოიგო და გუშინ ძირითად ბადეში თავისი პირველი გამარჯვებაც მოიპოვა. ჭაბუკმა ქართველმა ჩოგბურთელმა აზერბაიჯანელი ემილ ალიხანბეკოვი დამარცხა და ტურნირის მეორე წრეში გავიდა.

ბუჩუკურს ძირითად ბადეში კიდევ ოთხი ქართველი ლაზარე კუხალაშვილი, ნოდარ ითონიშვილი, გიორგი ხრიკაძე, ნიკოლოზ ქურდაძე დახვდნენ, თუმც ხრიკაძემ პირველივე წრეში წააგო და ტურნირს დაემშვიდობა. ასე რომ, „კოკა-კოლას" თასს ოთხი ქართველილა შემორჩა.

**ბაჩო სვანიძე**

### საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი წრე

**რომან კისლიანსკი** (რუსეთი) — **დემეტრე თაქთაქიშვილი** (საქართველო) 6:4 6:3
**არტურ ხაჩატურიანი** (სომხეთი) — **ხაჩატურ ხაჩატურიანი** (სომხეთი) 7:5 4:6 6:2
**მიხაილ ბრილი** (რუსეთი) — **დარჩო ინდუაშვილი** (რუსეთი) 6:2 6:1
**ჰოვანეს დავთიანი** (სომხეთი) — **ნიკა კაკულია** (საქართველო) 6:4 6:4
**ნოდარ ხარჩაძე** (საქართველო) — **თემურ ძაგნიძე** (საქართველო) 7:6 6:3
**გენადი ურბანოვიჩი** (ბელარუსი) — **ალექსანდრე თავხელიძე** (საქართველო) 6:1 6:1
**ლაშა გულიაშვილი** (საქართველო) — **ვიგენ მანუკიანი** (რუსეთი) 6:3 6:2
**ბექა ბუჩუკური** (საქართველო) — **გევორგ სარგსიანი** (სომხეთი) 5:7 6:4 6:3

### მეორე წრე

**აშოტ გევორძიანი** (სომხეთი) — **ნოდარ ხარზაიძე** (საქართველო) 6:3 6:3
**მიხაილ ლეონგი** (სოლომონის კუნძულები) — **გენადი ურბანოვიჩი** (ბელარუსი) 6:2 6:1
**გლებ ალექსეენკო** (უკრაინა) — **ლაშა გულიაშვილი** (საქართველო) **გულიაშვილი არ გავიდა**
**ბექა ბუჩუკური** (საქართველო) — **ევგენი პროხორენკო** (რუსეთი) 6:4 6:2
**ჰოვანის დავთიანი** (სომხეთი) — **გიორგი რევაზიშვილი** (საქართველო) 7:5 6:7 6:3
**მიხაილ ბრილი** (რუსეთი) — **ლევან ფეროიანი** (რუსეთი) 6:1 6:0
**არტურ ხაჩატურიანი** (სომხეთი) — **სერგო სიხარულიძე** (საქართველო) 6:1 4:1, **სიხარულიძემ თამაში შეწყვიტა**
**რომან კისლიანსკი** (რუსეთი) — **ბურქჩან სანნარი** (თურქეთი) 6:1 6:0

### ძირითადი ბადე. პირველ წრე

**ვადიმ ალექსეენკო** (უკრაინა) — **ალექსანდრე გიგიტაშვილი** (საქართველო) 6:0 6:1
**ვეშნუ ვარდჯანი** (ინდოეთი) — **გლებ ალექსეენკო** (უკრაინა) 6:3 6:3
**ნამ ხუ-ვუ** (ს. კორეა) — **გიორგი ხრიკაძე** (საქართველო) 6:3 6:1
**სერგეი ბიტაუ** (ბელარუსი) — **მიხაილ კრილი** (რუსეთი) 6:3 6:3
**დენის პავლოვსკი** (ლატვია) — **ვიქტორ კოზინი** (რუსეთი) 6:1 6:1
**ბექა ბუჩუკური** (საქართველო) — **ემილ ალიხანბეკოვი** (აზერბაიჯანი) 6:1 6:4
**ჰოვანის დავთიანი** (სომხეთი) — **არტურ ხაჩატურიანი** (სომხეთი) 7:5 6:1

# ᲡᲐᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲝ ᲐᲓᲘ-ᲩᲐᲓᲘ

ATP-ის რეიტინგში კვლავაც ქართველების მატებაა. კარგახანს იმის გამეორება გვიწევდა, კაცთა კლასიფიკაციაში ოთხი ჩვენებურია-ო და ბოლო რამდენიმე კვირაში მათი რაოდენობა შვიდამდე გაიზარდა — ჯერ ლაზარე კუხალაშვილი გამოჩნდა რეიტინგში, შემდეგ ირაკლი ლაბაძემ დაიწყო დაკარგული პოზიციებისთვის ბრძოლა და აი, სიაში მეშვიდე ქართველი, დემეტრე თაქთაქიშვილიც გამოჩნდა.



ბ. დულუბავა/ბეტეს ფოტო

ქალთა რეიტინგს რაც შეეხება, იქ კვლავაც 11 ჩვენებურია, ოღონდაც ქართული სიის თავში, მცირე შესვენების შემდეგ, მაკა ჩახნაშვილი დაბრუნდა. მაკამ თავად დათმო 20 პოზიცია, მაგრამ კიდევ უფრო უკან ანა ტატიშვილმა დაიხია, რომელმაც ვერ მოახერხა შარშან ამ დროს მოპოვებული ქულების დაცვა, ერთბაშად 29 სარეიტინგო ქულა და, შესაბამისად, 39 პოზიცია დაკარგა და საქართველოს პირველი ჩოგნის სტატუსი ჩახნაშვილმა დაიბრუნა.

სამაგიეროდ, კარიერის უმაღლეს პოზიციებზე არიან სოფო შაფათავა და ოქსანა კალაშნიკოვა. ოქსანამ ორი ნაბიჯი გადადგა წინ, ხოლო სოფომ ცხრა პოზიცია მოიგო და პირველად შეაღწია WTA-ს რეიტინგის მესამე ასეულში.

### ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

| | |
|---|---|
| 440 (+18) ლადო ჩიხლაძე | 66 |
| 777( 0) ირაკლი ლაბაძე | 19 |
| 1166 (0) ნოდარ ითონიშვილი | 5 |
| 1286 (-12) ლაზარე კუხალაშვილი | 3 |
| 1528 (-) დემეტრე თაქთაქიშვილი | 1 |
| 1611 (-9) გიორგი ჭანტურია | 1 |
| 1860 (-44) გიორგი ხრიკაძე | 1 |

### ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

| | |
|---|---|
| 197 (-20) მაკა ჩახნაშვილი | 146 |
| 217 (-39) ანა ტატიშვილი | 137 |
| 294 (+9) სოფო შაფათავა | 83 |
| 489 (+3) თინა ყავლაშვილი | 34 |
| 552 (+2) ოქსანა კალაშნიკოვა | 27 |
| 589 (0) მანანა შაფაქიძე | 24 |
| 624 (-15) სალომე ჯევიძე | 21 |
| 686 (-1) სოფო ქვაცაბაია | 17 |
| 724 (+4) ეკა გორგოძე | 14 |
| 933 (-11) მაგდა ოქრუაშვილი | 6 |
| 1014 (0) სოფო მელიქიშვილი | 4 |

# ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

### ᲒᲐᲜᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 6600 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5830 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4945 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2970 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2945 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 2065 |
| 7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2030 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1955 |
| 9. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1730 |
| 10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 1660 |
| 11. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 1475 |
| 12. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1445 |
| 13. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 1435 |
| 14. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1400 |
| 15. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1365 |
| 16. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1270 |
| 17. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 1265 |
| 18. რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი) | 1256 |
| 19. ხუან მონაკო (არგენტინა) | 1240 |
| 20. ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 1220 |

### ᲡᲐᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝ ᲠᲑᲝᲚᲐ

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 955 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 685 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 649 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 371 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 306 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 240 |
| 7. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 238 |
| 8. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 236 |
| 9. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 235 |
| 10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 231 |
| 11. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 203 |
| 12. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 200 |
| 13. რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი) | 178 |
| 14. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 176 |
| 15. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 173 |
| 16. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 172 |
| 17-18. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 170 |
| 17-18. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 170 |
| 19. ჟილ სიმონი (საფარნგეთი) | 167 |
| 20. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 162 |

# ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

### ᲒᲐᲜᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

| | |
|---|---|
| 1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3828 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3685 |
| 3. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3626 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3455 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 3251 |
| 6. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3105 |
| 7. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2606 |
| 8. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2416 |
| 9. დინარა საფინა (რუსეთი) | 2287 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2141 |
| 11. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1972 |
| 12. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1927 |
| 13. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1812 |
| 14. აგნეს სუავაი (უნგრეთი) | 1644 |
| 15. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1550 |
| 16. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1386 |
| 17. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1321 |
| 18. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1268 |
| 19. მარია კირილენკო (რუსეთი) | 1208 |
| 20. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 1201 |

### ᲡᲐᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝ ᲠᲑᲝᲚᲐ

| | |
|---|---|
| 1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2761 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2645 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 2590 |
| 4. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2455 |
| 5. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2051 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1821 |
| 7. ვინუს უილიამსი (აშშ) | 1766 |
| 8. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 1727 |
| 9. დინარა საფინა (რუსეთი) | 1723 |
| 10. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1524 |
| 11. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1068 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1025 |
| 13. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1015 |
| 14. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 883 |
| 15. აგნეს სუავაი (უნგრეთი) | 853 |
| 16. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 847 |
| 17. ფლავია პენეტა (იტალია) | 832 |
| 18. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 820 |
| 19. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 810 |
| 20. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) | 780 |

# ᲝᲪᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲕᲝᲖᲜᲘᲐᲙᲘ

ალექსანდრა ვოზნიაკი

**ᲣᲛᲐᲒᲣᲠᲘ** ტურნირის ფინალში ფერნანდო ვერდასკომ უმძიმეს ბრძოლაში დასცა იგორ ანდრეევი და კარიერაში მეორე ტიტული მოიგო. 24 წლის ესპანელმა ოთხწლიანი მშრალი სერია შეწყვიტა, რადგანაც აქამდე თავისი პირველი და უკანასკნელი ტიტული 2004 წელს ვალენსიაში მოეპოვებინა.

სხვათა შორის, ვერდასკო უკვე მეშვიდე ესპანელი მეჩოგნეა, ვინც წლეულს ტიტულის მოგება მოახერხა. საერთო ჯამში პირინეელებმა მიმდინარე სეზონში 14 ტიტულს მოუყარეს თავი და ამით უკვე გადაასწრეს თავიანთ შარშანდელ მაჩვენებელს (13 მოგებული ტურნირი).

ვერდასკოს ფინალში მაგრად გაუმართლა, რადგანაც თავიდან ანდრეევმა უკეთ დაიწყო. რუსი ზედიზედ მეორე თამაშობდა, თანაც ერთი დღის შემდეგ 25 წლის უნდა შესრულებულიყო და საკუთარ თავს კარგ საჩუქარსაც უმზადებდა. თუმც ცაცია ესპანელმა მეორე სეტში შეძლო მატჩში გარდატეხის შეტანა და უკვე თვითონ მოიპოვა უპირატესობა.

მესამე სეტიც ვერდასკოს ზეობით დაიწყო და ის მალე დაწინაურდა 3:0, თუმც არც ანდრეევი აპირებდა ყურების ჩამოყრას — რუსმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა, მაგრამ აქ მაინც ესპანელმა იყოჩაღა და თითქმის სამსაათიანი ბატალია თავის სასარგებლოდ დაასრულა.

კიცბიუელის ტიტული კი ისევ არგენტინელს დარჩა. ავსტრიაში მათი დომინირება ზედიზედ ოთხი წელია, გრძელდება. აქამდე ალპებში ხუან მონაკომ (2007), აგუსტინ კალერიმ (2006) და გასტონ გაუდიომ (2005) იხეირეს, ახლა კი ხუან მარტინ დელ პოტროს ჯერი დადგა.

აქვე შეგახსენებთ, რომ ამ აყლაყუდა არგენტინელმა ზედიზედ მეორე ტურნირი მოიგო — ერთი კვირის წინ ხომ მან შტუტგარტშიც იხეირა. კვირის ფინალში კი 19 წლის არგენტინელმა მასპინძელთა კერპი იურგენ მელცერი პატარა ბავშვივით მიჩოგნა და თავისზე გაცილებით გამოცდილ ავსტრიელს მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო.

არ გამოუვიდა ამერსფორტული ტიტულის დაცვა სტივ დარსისს. ბელგიელმა კარგად კი დაიწყო ალბერტ მონტანესთან, მაგრამ ესპანელმა შეძლო მატჩის ჩარხის სათავისოდ შებრუნება და ბენელუქსელი მაინც გააკრა ბეჭებზე.

მონტანესისთვის ეს პირველი გამარჯვებაა ATP-ის დონეზე. შედეგად ის უკვე მეშვიდე მეჩოგნეა, ვინც წლეულს თავისი პირველი ტიტულის მოგება შეძლო.

გარდა ამისა, მონტანესი პირველი ესპანელია, ვინც 2001 წლის შემდეგ ამერსფორტში იხეირა. ბოლოს ეს ალექს კორეჩამ შეძლო.

ანდრეევის წარუმატებლობიდან რამდენიმე საათში თავისი ფინალი წააგო დმიტრი ტურსუნოვმაც და ვერ შეძლო ტიტულის შენარჩუნება. თუმც რუსს მაინდამაინც არ გაემტყუნება, რადგანაც ჟილ სიმონმა თითქმის უნაკლო მატჩი ჩაატარა და წლეულს თავისი მეორე ტიტული გაინაღდა (აქამდე კასაბლანკაში იხეირა).

ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი სიმონი კარგა ხანს წუწუნებდა, სასაათო სარტყლების შეცვლას ვერ შევეგუეო, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, ზედიზედ მიეჩოგნა ტურნირის მეხუთე და მეოთხე ნომრები — ტომი ჰაასი და სემ ქუერეი. მართალია, ფრანგს ორივესთან სამ-სამ სეტიანი ბრძოლის გადატანა მოუხდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ფინალში დაღლილობისა არაფერი ეტყობოდა და ტურსუნოვი ძალიან დამაჯერებლადაც დააშამათა.

ალექსანდრა ვოზნიაკი კი პირველი კანადელ ჩოგბურთელად იქცა, ვინც ბოლო 20 წელიწადში, WTA-ს დონის ტურნირის მოგება შეძლო — ბოლოჯერ ნეკერჩხლის ფოთლიანი დროშის სახელით მოთამაშე ჯილ ეტერინგტონმა 1988 წლის თებერვალში ველინგტონში იჩემპიონა.

„ძალიან ბედნიერი ვარ, სიტყვებით ვერც კი გადმოვცემ, რამდენად. დარწმუნებული ვარ, სამშობლოში ამ მატჩს ბევრი უცქერდა“ — ჭკუაზე არ იყო სიხარულისგან ვოზნიაკი.

ისე, კანადელმა მართლაც საოცრება გააკეთა, რადგანაც მას ტურნირზე მოსახვედრად კვალიფიკაციაში მოუწია თამაში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან 9 დღეში 8 შეხვედრა გამართა. ამის მიუხედავად, ვოზნიაკი ფინალში მაინც დაუღალავად დაფრინავდა. მეორეს მხრივ კი ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კანადელს ბედმაც გაუღიმა — მასთან ჯერ ნახევარფინალში სერენა უილიამსმა დაიზიანა მუხლი და თამაში ვერ გააგრძელა, გუშინ კი მარიონ ბარტოლის პირველ სეტში ფეხი გადაუბრუნდა, რის შემდეგაც კორტზე გადაადგილება შესამჩნევად უჭირდა და ამიტომ ისეთი ჩოგბურთი ვერ აჩვენა, როგორსაც თავად ისურვებდა.

ბად გაშტაინში კი ამომავალი ვარსკვლავების — აგნეს სუავაის, ალიზ კორნესა და კაროლინ ვოზნიაკის ჩაუქობას ველოდით, მაგრამ წვიმის აკომპანიმენტით ჩავლილი ტურნირი პაულინ პარმენტიეს საზეიმო არენად იქცა. ფრანგმა ფინალამდე სუავაიც გააკრა ბეჭებზე და შემდეგ ტიტულისთვის მატჩში დამაჯერებლად დასცა ლუსი ჰრადეჩკა, რითაც კარიერაში მეორე და ჯერჯერობით ყველაზე წონადი ტიტული გაინაღდა.

**ᲫᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲛᲣᲮᲕᲘᲚᲘ**

## 95-ე ტურ დე ფრანსი. 5-27 ივლისი

# ყოჩი ალპებში გამოჩნდება?







**დღევანდელი (ზედა) და ხვალინდელი ეტაპების მარშრუტთა გრაფიკული გამოსახულებები**

**ლენს არმსტრონგის** წასვლის შემდეგ ველოპელეტონი ლიდერის გარეშე დარჩა და დღესაც ასეა — არ ჩანს კაცი, რომელიც სხვებზე ერთი თავით აღმატებული იქნება და ერთი მძლავრი იერიშით ნოკაუტში ჩააგდებს კონკურენტებს.

ვინ იცის, იქნებ ალბერტო კონტადორი იყოს ასეთი კაცი, მაგრამ შარშანდელი „ტურისა“ და წლევანდელი „ჯიროს“ გამარჯვებული „ტურ დე ფრანსზე“ არ არის და ლიდერის ყვითელი მაისურაც გარდამავალი დროშასავით გახდა — ხან ვის აცვია და ხან ვის.

პირველი ალპური ეტაპის შემდეგ გენერალური კლასიკაციის თავში დანიური CSC-ის ლუქსემბურგელი მრბოლი ფრენკ შლეკი მოექცა. „ბავშვობის ოცნება ავიხდინე. ყოველთვის ვოცნებობდი იმ დღეზე, „ტურ დე ფრანსის“ ლიდერის ყვითელ მაისურას რომ მივირგებდი. დიდებული დღეა და მინდა, ამ დღისთვის მადლობა ვუთხრა ყველა თანაგუნდელს და განსაკუთრებით ჩემს ძმა ენდის, რომელმაც პრატო ნივოზოს აღმართში დიდი დახმარება გამიწია“ — განაცხადა „ტურის“ ახლად გამომცხვარმა ლიდერმა, მაგრამ რამდენ ხანს გასტანს მისი პირველობა, ძალზე ძნელი სათქმელია — უფროსი, 28 წლის შლეკი უახლოეს მდევრებს, გერმანელ ბერნჰარდ კოლსა და ძველ ლიდერს, ავსტრალიელ კედელ ევანსს, მიზერული სხვაობით, შესაბამისად, 7 და 8 წამით უსწრებს და იქვე არიან რუსი დენის მენშოვი (+38), ამერიკელი კრისტიან ვანდეველდე (+39) და შლეკების ესპანელი თანაგუნდელი კარლოს სასტრე (+49).

დიახ, პირველსა და მეექვსე ადგილებზე მყოფებს შორის განსხვავება მხოლოდ 49 წამია და რიდის იყო ბოლოს ასეთი რამ, ძნელი გასახსენებელია. არადა, რბოლა უკვე ფინიშისკენ წავიდა, სულ ექვსი ეტაპიღა დარჩა, მაგრამ ამ ექვსიდან ორი ალპებშია, ერთიც ინდივიდუალურ რბოლას ეთმობა, ანუ მთავარი ამბები ჯერ წინ არის.

გუშინ პელეტონმა პირველი ალპური მთების შემდეგ სული მოითქვა და დღეს და ხვალ კი ველოქარავანს ისევ ალპები და ორი ურთულესი დღე ელის.

თავად განსაჯეთ — დღეს ორი უმაღლესი კატეგორიის მთაა დასალაშქრი, ზღვის დონიდან 2351 მეტრზე მდებარე დე ლა ლომბარდია და წლევანდელი „ტურის“ უმაღლესი პიკი, 2802 მეტრზე აღმართული დე ლა ბონეტი, რომლის შემდეგაც კოშმარული დაღმართი და ფინიში იქნება. ხვალ კი „სამეფო“ ეტაპია სამი უმაღლესი კატეგორიის სირთულის მთით — გალიბიერით (2645), დე ლა კრუა-თი (2067) და ლეგენდარული ალპ დუეზით (1680), რომლის ციცაბო აღმართის შემდეგ ფინიშია და ძალზე ბევრი რამ, სწორედ იმ აღმართში გაირკვევა.

ჩვენ კი ისევ მოწინავეებს დავუბრუნდეთ და მათ შანსებზე ვიმარჩიელოთ. უპირატესობა, თითქოს CSC-ის მრბოლებს, ანუ უფროს შლეკსა და სასტრეს აქვთ. დანიური ველოგუნდი ძალიან მძლავრია, მაგრამ მათი მინუსი ის არის, რომ გუნდში, ალბათ, თავადაც არ იციან, თუ ვისზე გააკეთონ აქცენტი, ყვითელმაისურიან შლეკზე, თუ სასტრზე, რომელმაც პირველ ალპურ ეტაპზე აჯობა თანაგუნდელს. თანაც, ინდივიდუალურ რბოლაში შლეკიც მოისუსტებს და სასტრეც — წლევანდელი „ტურის“ პირველ ინდივიდუალურ ეტაპზე ესპანელმა ევანსთან წუთი და 16 წამი წააგო, ხოლო ლუქსემბურგელმა — წუთი და 47 წამი და ეს 29,5 კილომეტრზე, მაშინ, როდესაც წინ 53-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლაა, ანუ CSC-ის ხალხს რამე თუ უნდა, ეს რამე მათ მთებში უნდა გამოჭედონ.

მოწინავეთა შორის ყველაზე მოულოდნელი კაცი კოლია, რომელიც მთებში ბრწყინვალედ გამოიყურება, მაგრამ ინდივიდუალურ რბოლაში მანაც ბევრი, წუთი და 20 წამი წააგო ევანსთან.

დაგვრჩნენ ევანსი, მენშოვი და ვანდეველდე, რომელთაც ინდივიდუალური სვლა ნამდვილად არ დაეწუნებათ. ვანდეველდემ, მაინც ძნელად, რომ ბოლომდე გაქაჩოს. ევანსს და მენშოვს კი აშკარად აკლიათ თანაგუნდელების მხარდაჭერა — ბოლო აღმართში ისინი მარტონი რჩებიან ხოლმე.

მოკლედ, ნამდვილი რებუსია და ნუ დავივიწყებთ, რომ არიან კიდევ კიმ კირხენი და ალეხანდრო ვალვერდე, რომელთაც უკვე ეცვათ ყვითელი მაისურა და რომლებიც ერთი კარგი იერიშის გაწვდენაზე ჩამორჩებიან ლიდერებს — კირხენი შლეკთან 2 წუთსა და 48 წამს აგებს, ხოლო ვალვერდე — 4 წუთსა და 11 წამს. თითქოს ბევრია, მაგრამ კირხენი ინდივიდუალური რბოლის სპეციალისტად ითვლება, ვალვერდე კი პირინეებში, ტურმალეს აღმართში „ჩაძინების“ შემდეგ გამოფხიზლდა და თითქოს ალპებში საიერიშოდაც ემზადება.

აი, ასეთი არეული სურათია, ველოქარავანი უყოჩოდ დარჩენილი ცხვრის ფარასავით არის. წინ კი ალპების ურთულესი უღელტეხილები.

ფრანკ შლეკი



ვალენტინო როსი (მარჯვნივ) და კეისი სტოუნერი პოდიუმზეც მხიარულობდნენ

# მხიარული დოქტორი

**ყველაფერი** იქითკენ მიდის, რომ საგზატკეცილო-წრიული მოტორბოლის „სამეფო“, მოტოჯიპის კლასში წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი ორი კაცის, მოქმედი ჩემპიონის, ავსტრალიელი კეისი სტოუნერისა და მრავალგზის ტრიუმფატორის, იტალიელის ვალენტინო როსის დუელად იქცევა.

არადა, სეზონის სტარტზე საჩემპიონო რბოლაში აქტიურად ჩაერთვნენ ესპანელები დანიელ პედროსა და ხორხე ლორენცო, რომლებიც პოდიუმიდან არ ჩამოდიოდნენ და ერთი მომენტი წყვილადაც კი ლიდერობდნენ გენერალურ კლასიფიკაციაში.

ამ ორი ესპანელიდან პირველს ლორენცოს დაუცდა ფეხი, როდესაც სერიოზული ტრავმა მიიღო და მას შემდეგ ველარაფრით დაიბრუნა ოპტიმალური ფორმა. კვირას, როდესაც ლაგუნა სეკას ლეგენდარულ ტრეკზე ამერიკის შეერთებული შტატების დიდი პრიზი გათამაშდა, ლორენცო მალევე, რომ იტყვიან, გაფრინდა თავისი მოტოდან და ისევ, ბოლო ექვს რბოლაში მეოთხედ, უქულოდ დარჩა.

ველარც პედროსას საქმეები მიდის კარგად. მან ჯერ კიდევ კლასიფიკაციისას თქვა უარი ამერიკულ დიდ პრიზზე და ზედიზედ მეორედ უქულოდ დარჩენილი, საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე დაქვეითდა.

აი, ასეა ესპანელთა საქმე და როსი და სტოუნერი კი ლორენცოსგან განსხვავებით, მოტოს გარეშე კი არა, მოტოებით დაფრინავენ. ბოლო რვა ეტაპიდან შვიდი ამ ორის გამარჯვებით დასრულდა და სეზონის დარჩენილ შვიდ ეტაპზე მათ შორის დიდი ბრძოლებიან მოსალოდნელი.

კვალიფიკაცია, უკვე ზედიზედ მეხუთედ, სტოუნერმა მოიგო და რბოლა კი, მართლაც, დიდებული სანახავი გამოდგა. მარტო ლორენცოს გაფრენა რად ღირდა და როსიმ და სტოუნერმა კი ისეთი ბრძოლა გააჩაღეს, თქვენი მოწონებული.

იტალიელმა და ავსტრალიელმა არაერთხელ გაასწრეს ერთმანეთს და ბოლოს, როდესაც ფინიშამდე 9 წრეღა რჩებოდა, სტოუნერს ნერვებმა უმტყუნა. ავსტრალიელი ერთ-ერთ მოსახვევში ტრასას გასცდა, მოხრეშილ გზაზე გადავიდა და დაეცა. საბედნიეროდ, კეისი თავადაც წამოდგა, რკინის რაშიც წამოაყენა ფეხზე და რადგანაც ყველა დანარჩენს უზარმაზარი უპირატესობით უსწრებდა, როსის უკან მეორემ უწია ფინიშს.

„ბრწყინვალე რბოლა იყო. კარგად დავიწყე და შემდეგ დიდებული ომი გავმართე კეისისთან. უამრავჯერ გავუსწარით ერთმანეთს, სახალისო სანახაობა დავდგით და ჩვენც ვიმხიარულეთ. უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაა, მით უმეტეს, პატარა საზაფხულო შესვენების წინ“ — განაცხადა „დოქტორმა“ როსიმ, რომელმაც პირველად იმარჯვა ლაგუნა სეკას ტრეკზე და გახარებული იქაურ ასფალტს ეამბორა.

ჩემპიონატში კი მართლაც შესვენებაა — მოტომხედრები და მათი „რაშები“ ოთხ კვირას, ანუ 17 აგვისტოს ბრნოში გასამართ ჩეხეთის დიდ პრიზამდე დაისვენებენ. ოღონდაც, აე ლაპარაკია მოტოჯიპის კლასზე, რადგანაც „საშუალო“ (250 კბ/სმ) და „უმცროსი“ (125 კბ/სმ) კლასის წარმომადგენლებისთვის არდადეგები ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ დაიწყო. დიახ, ლაგუნა სეკას ტრეკზე ამ კლასის ხალხს არ უქრილია. ისინი ამერიკულ ასფალტს ინდიანაპოლისში დააგემოვნებენ, როდესაც მეორე ამერიკული ეტაპი გაიმართება.

„სამეფო“ კლასის გენერალურ კლასიფიკაციაში კი როსი ლიდერობს და 25 ქულას უგებს სტოუნერს. გაგრძელება იქნება.

**ქაჯა ლომაძე**

**მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში**
**მე-11 ეტაპი. ლაგუნა სეკა. აშშ. 20 ივლისი**

**მოტო GP (32 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა“) | 44 წთ 04,311 წმ |
| 2. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი“) | 44.17,312 |
| 3. კრის ვერმიულენი (ავსტრალია, „სუძუკი“) | 44.30,920 |
| 4. ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, „ჰონდა“) | 44.39,212 |
| 5. ნიკი ჰეიდენი (აშშ, „ჰონდა“) | 44.39,974 |

**საერთო ჩათვლა**

საერთო ჩათვლა: 1. როსი 212 ქულა; 2. სტოუნერი 187; 3. დანი პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა“) 171; 4. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა“) 114; დოვიზიოსო 103




# ბიჭი, რომელიც არ ოცნებობს

**„მე** ადამიანი ვარ და ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს, შეიძლება ყველაფერი შემემთხვეს. ერთადერთი რაზეც ვოცნებობ ისაა, რომ პეკინის ოლიმპიადაზე ყველა საკვალიფიკაციო რაუნდი გავიარო და ფინალში მოვხვდე." ეს სიტყვები არაფრით გამორჩეულ მძლეოსანს რომ ეთქვა, მსმენელი თავს დაუქნევდა და ოცნებას გაუგებდა, მაგრამ მსოფლიოს რეკორდსმენისგან ცოტა გასაკვირია. დეირონ რობლესი, სადღეისოდ მსოფლიოს უძლიერესი თარჯმორბენალი, ერთობ თავმდაბლობს.

რა არის ეს? 21 წლის ჯერაც მოუმწიფებელი ახალგაზრდა სპორტსმენის ზედმეტი მოკრძალება თუ უდიდესი ტურნირის წინ თავის დაზღვევა? ყველამ იცის, რომ რობლესს ოლიმპიადის ფინალში გასვლაზე ბევრად მეტი შეიძლია. მეტიც, მას ყველა მთავარ ფავორიტად აღიქვამს და მისი „ფრთებშეკვეცილი ოცნებაც" ამიტომ გახდა გაოცების საგანი.

იქნებ ასე ცდილობს შინაგანი ნერვიულობის შენიღბვას? ყველას ახსოვს ოსაკაში შარშან გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც ის 110 მეტრ თარჯრბენში სამეულშიც კი ვერ მოხვდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლას უწინასწარმეტყველებდნენ.

მაგრამ მას მერე უნიჭიერეს კუბელს ერთი წელი ასაკი და გამოცდილება მოემატა და სხვადასხვა კომერციულ ტურნირებზე ნაჩვენები შედეგებით ის მართლაც საუკეთესოა და ეს ოქროს ლიგის პარიზის ეტაპზეც დაამტკიცა, როცა 10 თარჯით შეჯერებული 110 მეტრი 12,88 წამში გაირბინა და სანტიმეტრებით კი არა რამდენიმე მეტრით აჯობა ორგზის ოლიმპიურ ვერცხლის პრიზიორ ტერენს ტრამელს.

რობლესი შეიქნა პირველი თარჯმორბენალი, რომელიც ორჯერ ჩამოსცდა 12,90 ნიშნულს მაშინ, როცა ამის გაკეთებას რჩეულები ერთხელაც ვერ ახერხებენ. მხოლოდ ჩინელმა ლიუ სიანმა შეძლო 12,88 დროის ჩვენება, ისიც ორი წლის წინ და მისმა ამ სუპერშედეგმა მსოფლიო რეკორდად რომ დაიქუხა, მას მერე ჩინელმა თითქოს დასვენება და განზე გასვლა გადაწყვიტა. რობლესმა სიანს თვენახევრის წინ ჩეხურ ოსტრავაში ჩამოართვა რეკორდი, როცა 12,87 წამში ირბინა, მერე კი აგერ 12,88-ც დააფიქსირა.

მთელი ჩინეთი იმაზე საუბრობს, რომ მძლეოსნობაში ლუი სიანი მათი ერთადერთი იმედია. ჩინელებს მიზნად ოლიმპიადებზე ამერიკელთა ჰეგემონობის დამხობა დაუსახავთ, მაგრამ როგორ შეძლებენ ამას, როცა „იანკები" ათამდე ოქროს მედალს სწორედ მძლეოსნობაში მოიპოვებენ, ოლიმპიადის მასპინძლებს კი ამ სახეობაში შეიძლება ერთი ოქროც არ შეხვდეთ. მილიარდზე მეტი ადამიანის მზერამიბჯენილი ლიუ ალბათ ტელევიზორის წინ ზის და იქიდან უყურებს, როგორ ამხობს მის რეკორდებს ახალგაზრდა კუბელი მოწინააღმდეგე, თანაც რა იოლად აკეთებს ამას. სავარაუდოდ ექსრეკორდსმენი ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს და თავს არიდებს დიდი ტურნირებს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი არაა, რამხელა წნეხქვეშაა ერის იმედი ლიუ.

დეირონ რობლესი კი სწორედ ამ წნეხის მოშორებას ცდილობს და არავის არაფერს პირდება, თვით საკუთარ თავსაც კი — „ძალიან მსუბუქი შეგრძნებაა, როცა ფინიშს გადაკვეთ და ხაზსიქით ასეთი შედეგი დაგხვდება. 12,88 მშვენიერი რამეა და მე კარგად ვიცი, რომ ძალიან სწრაფად სირბილი შემიძლია, მაგრამ ეს არაა მესიჯი ლიუ სიანისთვის და მითუმეტეს არ ვცდილობ მის ანერვიულებას. მე და ჩემმა მწვრთნელმა სანტიაგო ანტუნესმა წლეულს ოთხი 13 წამი დავგეგმეთ და ეს მეორეა. დარჩა კიდევ სამი კომერციული ტურნირი — სტოკჰოლმში, ლონდონსა და მონაკოში და იქ შევავსებ კვოტას. ჩვენ ჩვენი გეგმა გვაქვს და მას მივყვებით, მაგრამ არა ვინმეს ჯიბრზე და არა შეკრული კრიჭით. ვარჯიში კარგია და ბევრსაც ვვარჯიშობ, ხალხს შეიძლება ჩაკეტილი პიროვნებაც ვგონივარ, მაგრამ ასეთი ნამდვილად არ ვარ, საქმისგან სიამოვნების მიღებაც შემიძლია. მე ხომ კუბელი ვარ."

**ირაკლი ფირაზვილი**

# რუსებს კარგი ქალები ჰყავთ

**კვირას** ყაზანში დასრულებულმა რუსეთის შიდა პირველობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რუსეთში ბევრი კარგი მძლეოსანია. კაცების რა მოგახსენოთ, პეკინის ოლიმპიადაზე ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს მათი დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეთ. აი, რაც შეეხება რუს ქალებს, ისინი უცილობლად მოიპოვებენ რამდენიმე ოქროს, რაც ყაზანში ნაჩვენებ შედეგებშიც იკითხება.

კარგ ფორმაში ჩანს შარშან ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე ორ საშუალო დისტანციაზე, 800 და 1500 მეტრზე სირბილში გამარჯვებული ტატიანა ტომაშოვა. ყაზანში მას თითქოს გაუჭირდა 1500 მეტრის მოგება, მთელი დისტანცია უკან იყო, მაგრამ უკანასკნელ 50 მეტრზე იოლად ჩამოიტოვა მოლიდერე იულია ფომენკო და 3.59,42 შედეგით და ერთი წამის წინსწრებით აჯობა მას.

ყველაზე საინტერესო ბრძოლა გაიმართა სიმაღლეზე მხტომელ ორ გოგონას შორის — ანა ჩიჩეროვამ და ელენა სლესარენკომ ერთმანეთში დრამატული შეჯიბრი გამართეს. ერთი რომ აიღებდა სიმაღლეს, მეორეც ფეხდაფეხ სდევდა და ასე სინქრონული ნახტომებით ასცდნენ 2 მეტრს. 2,03 სიმაღლეზე რომ მიდგნენ, ჩიჩეროვამ მეორე ცდაზე დაძლია თამასა, სლესარენკომ კი ეს მხოლოდ მესამე ნახტომზე შეძლო და ჩემპიონობაც აქ დათმო. სხვებმა ვერ გადააცილეს სხეული 2 მეტრს, მაგრამ ერთი ქვეყნიდან ორი ორმეტრიანი ქალი საკმარისზე მეტიცაა. ამ შედეგების გათვალისწინებით, პეკინში სწორედ ჩიჩეროვა და სლესარენკო გაუწევენ ყველაზე მეტ კონკურენციას ხორვატ კალია ბლანკა ვლასიჩს, რომლისთვისაც 2 მეტრი არაფერია და ზედიზედ 30 ტურნირზე შეძლო მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე გოგონასთვის ხელმისაწვდომი — ისიც ძალზე ძნელად — ამ სიმაღლის აღება.

ყაზანში იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონები ირინა პრივალოვა და ნატალია სადოვაც. პირველი ძალიან უხეიროდ გამოვიდა თავის 200-მეტრიან დისტანციაზე, მხოლოდ 23,47 წამში დაძლია ნახევარწრე და მეშვიდე ადგილზე ჩარჩა. აქ პირველობა ანასტასია კაპაჩინსკაიას (22,77 წამი) დარჩა. სხვათა შორის, კაპაჩინსკაიას მშობლებიც მძლეოსნები გახლდნენ და ამ ახალგაზრდა გოგონას ოლიმპიური მწვერვალისკენ წინსვლაში ეს გარემოებაც აძლევს სტიმულს.

ბადროს ტყორცნაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნატალია სადოვამ კი დამაჯერებლად იმარჯვა. მისი საუკეთესო ნატყორცნი 65,46 მეტრზე დაეცა, რითაც მან თითქმის ორი მეტრით აჯობა მდევართაგან საუკეთესოს, დარია პიშჩალნიკოვას.

**ვანო კოგიაშვილი**



# ჩამბერსს საბოლოო უარი სტკივეს

**ბრიტანეთის** ოლიმპიურმა კომიტეტმა საბოლოოდ გადაუწურა პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის იმედი ოდესღაც ბრიტთა ყველაზე სწრაფ მორბენალს, დუეინ ჩამბერსს. 30 წლის სპრინტერს ქვეყნის ოლიმპიური ჩინოსნები პეკინში მიმავალ გუნდში ადგილის დაჯავშნაზე უარს ეუბნებიან იმ მოტივით, რომ ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ, თუნდაც 5 წლის წინ დოპინგის ხმარებაში მხილებულ სპორტსმენის ადგილი არ შეიძლება იყოს ოლიმპიადაზე.

ჩამბერსი თავისი სპრინტერული კარიერის პიკზე იმყოფებოდა, როც დოპინგის ხმარებაზე ჩავარდა. 2003 წელს მას სისხლში აღმოუჩინეს აკრძალული ნივთიერება ტეტრაჰიდროგესტრინონი და ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტმა თავად დასაჯა თავისი გზააბნეული კრავი. ჩამბერსს ორი წლით აეკრძალა იააფ-ის ეგიდით გამართულ ნებისმიერ ტურნირზე გასვლა.

შერისხული ჩამბერსი ორი კი არა, კარგა სამი წელი გადაიკარგა და არავინ იცის, რას აკეთებდა ამ პერიოდში. დაბრუნებაც ერთობ მოკრძალებული ჰქონდა — მის ქცევაში იკითხებოდა აზრი, შემომხედეთ, როგორი მოკრძალებული ვარ, აქაოდა, მივხვდი, რაც მივქარე და ბოლომდეც მოვინანიეო. დიდ ტურნირებზე მაინც არ გასულა, აქაიქ თუ გაიელვებდა. მერე რაგბის თამაშიც სცადა და 13-კაცა ანუ ლიგის რაგბიში ამოყო თავი. 2008 წელს ჩამბერსი სრული დატვირთვით დაუბრუნდა მძლეოსნობას, მოიგო ბრიტანეთის შესარჩევი ტურნირის 100-მეტრიანი გარბენი...

მაგრამ თურმე სულ ტყუილად წვალობდა, მაინც არ მიჰყავთ პეკინში. ბრიტანეთის ოლიმპიური კომიტეტის ეს გადაწყვეტილება მან ლონდონში უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ ვერ მოიგო პროცესი და იმ აზრთან შეგუება მოუწევს, რომ ბრიტანელები პეკინშიც, ისევე როგორც ათენში, მასზე ნაკლებად სწრაფ სპრინტერებს წაიყვანენ.

**ვანო კოგიაშვილი**



# ჩინური ოქრო მილიონი ლარი

**აი ამბავი:** ქართველი ოლიმპიელი, რომელიც პეკინში ოქროს მედალს მოიპოვებს ჯილდოდ ერთ მილიონ ლარს მიიღებს! ეს სიახლე გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავად აცნობა ქართველ ლიცენზიანტებს ავლაბრის რეზიდენციაში. გუშინ ჩვენმა ოლიმპიელებმა ჯერ ფიცი დადეს, მერე კი პრეზიდენტს შეხვდნენ, სადაც გაცხადდა, რომ მომავალში სახელმწიფო სპორტს კიდევ უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კი ოლიმპიელებს ეს უთხრა: ჩვენ ოლიმპიელებზე დიდ იმედებს ვამყარებთ. ჭიდაობის, ძიუდოს, სროლის ტრადიციული სახეობების გარდა წარმატებას ძალოსნების და პლაჟის ფრენბურთელებისგანაც ველით — მათი კარგი გამოსვლა ოლიმპიადაზე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ზურაბ ზვიადაურის ოლიმპიური ჩემპიონობის შემდეგ საქართველოში ძიუდო კიდევ უფრო პოპულარული გახდა, ბევრი ძიუდოს დარბაზი აშენდა. წარმატების შემთხვევაში თითოეული სპორტსმენი ათასობით ადამიანისთვის მისაბაძი გახდება. ჩემი პრეზიდენტობის შემდეგ 10 სპორტის სასახლე აშენდა. ადრე თუ 2-3 საცურაო აუზი იყო, ახლა ვაცილებთ მეტია. კალათბურთის დარბაზი მხოლოდ თბილისში და რუსთავში ფუნქციონირებდა, ახლა კი 12-13 ქალაქშია, თუმცა ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ და კიდევ უფრო მეტის გაკეთებას ვგეგმავთ.

თქვენ შორის ახლა მომავალი ოლიმპიური ჩემპიონებიც არიან. სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ ოქროს მედალოსანს 1 მილიონი ლარი გადასცეს. ეს დიდი სტიმული იქნება ყველა სპორტსმენისთვის, ასე რომ ნამდვილად ღირს ჩემპიონობისთვის ბრძოლა".

შეხვედრის დასრულების შემდეგ რამდენიმე სპორტსმენს გავესაუბრეთ. ოლიმპიელებს სახეზე სიხარული და ცოტა გაოცებაც ეწერათ. როგორი საქმეა ჩემპიონობას 1 მილიონი ლარიც ზედ მოჰყვება...

*ნესტორ ხერგიანი* (ძიუდო): ძალიან დიდი სტიმულია ჩვენთვის, ისედაც ყველა საბრძოლველად იყო განწყობილი და კიდევ უფრო მეტი მონდომებით გამოვალთ. არაფერს დავიშურებთ, რომ ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ.

გელა საღირაშვილი (თავისუფალი სტილით ჭიდაობა): გახარებული ვარ, მთავრობამ მართლაც სასიამოვნო გადაწყვეტილება მიიღო. პრეზიდენტმა თქვა, რომ მომავალში სპორტს მეტი ყურადღება მიექცევა და ეს ძალიან კარგი ამბავია.

**ლეჭსო მაისურაძე**

შოთა საბარელი და ირაკლი ცირეკიძე პრეზიდენტმა დალოცა

მიერსი ჯანიშვილის ფოტო

# ოლიმპიელებმა დაიფიცეს



დავით ქევხიშვილი

ზურაბ დოლიძისა და ვალერ ბეგლარაშვილის ფოტოები

**გუშინ** სასტუმრო „თბილისი მერიოტში" ქართველ ოლიმპიელთა ფიცის დადების და გაცილების ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა. ღონისძიებაზე პირველად სიტყვით ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გოგი თოფაძე გამოვიდა. მან მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც საპეკინოდ ჩვენი სპორტსმენების მომზადებაში წვლილი შეიტანა. შემდეგ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრმა დავით ქევხიშვილმა ფიცი წაიკითხა, რომლის მიღებაც სპორტსმენებმა ხელმოწერით დაადასტურეს.

ცერემონიალის მიწურულს ოლიმპიელებს გზა სახალხო არტისტებმა, კახი კავსაძემ და გივი ბერიკაშვილმა დაულოცეს. გამოსამშვიდობებელი სიტყვა სპორტისა და კულტურის მინისტრმა ნიკა ვაჩეიშვილმაც წარმოთქვა...

ნიკა ვაჩეიშვილი: ჩემთვის დიდი პატივი იყო მოსამზადებელ ციკლში მონაწილეობა. მე ეს ნამდვილად შეამყუბა. ახლა ჯერ სპორტსმენებზეა. მათ ფიცი უკვე დადებული აქვთ...

კახი კავსაძეს ვთხოვეთ, გაემხილა ჩვენთვის, განსაკუთრებით რომელ სპორტის სახეობას უგულშემატკივრებდა ოლიმპიადაზე.

— გამორჩევით ვერ გეტყვით. ალბათ უფრო ჭიდაობის სახეობებს. ჩვენც ხომ მთელი ცხოვრება ჭიდაობა და ბრძოლა გვიწევს. რაც მთავარია, ყველას გულმხურვალედ ვქომაგობ და მჯერა, რომ ჩვენი სპორტსმენები არაერთი მედლით დაგვიბრუნდებიან — გვითხრა ბატონმა კახიმ.

გივი ბერიკაშვილმა კი ტრიბუნიდან დამოძღვრა პეკინში წამსვლელები. საქართველოს ახლა ყველაზე მეტად სჭირდება, რომ მთელმა სამყარომ მისი სიძლიერე და ღირსება დაინახოსო.

სულ ბოლოს დავით ქევხიშვილს სპორტული ფორმისა და მოსამზადებელი ეტაპის შესახებ ვკითხეთ: „შესანიშნავი პირობები გვქონდა. თავს კარგად ვგრძნობ, განსაკუთრებით მას მერე, რაც ფიცი წავიკითხე, ეს ჩემთვის დიდი პატივი და დამატებითი სტიმულია. გპირდებით, რომ პეკინის ტატამზე ბოლომდე დავიხარჯები და ჩემს გულშემატკივარს გავახარებ".

**ზურაბ მიგრიაული**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ეორეოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბელედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხოფერია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარაშვილი, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge